## ბართლომე I:



ჩემთვის, როგორც მსოფლიო პატრიარქისთვის, აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და გისურვებთ ძალიან მალე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. მინდა, გულითადი ქრისტესმიერი სიყვარული გადავცე ღვთისმოყვარე ქართველ ერს და მოვიკითხო ჩემი ძმა და მეგობარი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№107 (9938) 2025 წლის 1 აგვისტო, პარასკევი


## კორუფცია ქვეყნის ღალატად უნდა შეფასდეს!!!

გახმაურებული საქმის პროკურორი აღასტურებს, რომ გამოძიების პროცესში შეფასდება ჯუანშერ ბურჭულაძის ქმედებებიც. როგორც ირაკლი მარშანიამ აღნიშნა, საქმეზე გამოძიება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო. იხ. 4 გვ.



## გამოძიება ჯუანშერ ბურჭულაძეზე გავიდა?




იხ. 3 გვ.

## ლევან ხაბეიშვილი — აგენტი, ლიდერი, მარიონეტი თუ პიარ-მენეჯერი, რომელსაც დაპატიმრება ელანდება



იხ. 7 გვ.

## უკრაინის მზაკვარი მტერი მისივე ხელმძღვანელობაა

ან ზელენსკი, ან რუსეთის აგენტობა!!!

საჯარო ჩანაწერებისა და ანტიკორუფციულ ორგანოებში მომუშავე პირების თქმით, რომლებიც POLITICO-ს ანონიმურობის პირობით ესაუბრნენ, ამბობენ, რომ NABU-მ გამოძიება დაიწყო პრეზიდენტის ოფისის წევრებსა და მინისტრების ქმედებებზე

## ვინ ითანამშრომლებს თაღლით პოლიტიკოსებთან?



2



8

## „ტრამპმა პუტინისათვის დრო ისე გამოთვალა, რომ სანქციებით მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს“

წერილი ნიუ-იორკიდან



## „მეგრელთა საქმე“ კრემლში იმ დროს მომზადდა, როცა არც სტალინს და არც ბერიას არ შეეძლოთ ამისთვის ხელის შეშლა!

„მეგრული საქმის“, ისევე როგორც „ექიმთა“, „ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის“ და „ლენინგრადის საქმის“ მთავარი ორგანიზატორი, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მალენკოვი უნდა ყოფილიყო ხრუშჩოვთან ერთად.

იხ. 6 გვ.



ვებ-გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# ვინ ითანამშრომლებს თაღლით პოლიტიკოსებთან?



შალვა პაპუაშვილი:

**უცხოელი პოლიტიკოსები, დიპლომატები, რომლებიც დღეიდან ხელს ჩამოართმევენ ხაზარაძეს და ჯაფარიძეს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული მათი თაღლითობის მფარველები არიან!**

**პორტი ვერ ააშენეს და საკუთარ ქვეყანას მიადგნენ დასანგრევად. ითხოვდნენ 1,5 მილიარდ დოლარს მოქალაქეების ჯიბიდან, მაგრამ მოუწიათ თავად 7,1 მილიონი დოლარის დაბრუნება ბიუჯეტში, აღარაფერი რომ ვთქვათ იმ მილიონებზე, რომელიც ფუჭად ხარჯეს, როგორც აღმოჩნდა დაბალი კვალიფიკაციის ადვოკატებზე,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** სოციალურ ქსელში წერს და **ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით ვაშინგტონის არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ეხმაურება.**

პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ ასეთი ბოლო ექნება ყველა თაღლითის საქმეს.

**„მანამდე კი იყო სხვა თაღლითობაც, რომელიც სასამართლოს განაჩენით დასრულდა, როდესაც ბანკიდან 17 მილიონი დოლარი თაღლითურად გააქრეს. ამ სქემის გამო ხაზარაძეს და ჯაფარიძეს 7-7 წელი მიესაჯათ, ბანკმა კი 3 მილიონი დოლარი ჯარიმა აღიარა და გადაიხადა.**

**სამი წლის წინ ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსმა ევროპისთვის (ALDE) ეს თაღლითები წევრებად მიიღო. ამითაც შეგვიძლია, ვიმსჯელოთ ამ ალიანსის მორალზე.**

**ახლა მნიშვნელოვანია, ვნახოთ, ერთი ეროვნული და ორი საერთაშორისო სასამართლოს მიერ, ამ თაღლითების მხილების შემდეგ, თუ დაიტოვებენ წევრებად, თუ დადასტურდება საზოგადოებაში არსებული ეჭვი, რომ ხაზარაძემ და ჯაფარიძემ ALDE-ს წევრობა, უბრალოდ, იყიდეს.**





**ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ, რომ ის უცხოელი პოლიტიკოსები და დიპლომატები, რომლებიც დღეიდან ამათ ხელს ჩამოართმევენ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ამათი თაღლითობის მფარველები არიან“,** – წერს **შალვა პაპუაშვილი.**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ ანაკლიის პორტის საქმეზე დავა ვაშინგტონის არბიტრაჟშიც წააგეს. მათივე ცნობით, აღნიშნული დავის ფარგლებში ხაზარაძისა და ჯაფარიძის ჰოლანდიელი პარტნიორი ბობ მეიერი ითხოვდა 64 მილიონი აშშ დოლარის გადახდას, თუმცა არბიტრაჟმა მისი ყველა მოთხოვნა უარყო და მას თავად დააკისრა საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ 6,5 მილიონი აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება.**



## აფხაზეთის მთავრობის წევრებს მსოფლიო პატრიარქმა უმასპინძლა

**თურქეთის** რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ანზორ მარგიანი** და აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი **დავით ფაცაცია** მსოფლიო პატრიარქ **ბართლომე I**-ს და მსოფლიო საპატრიარქოს იმვროსისა და ტენედოს მიტროპოლიტ **კირილეს შეხვდნენ.**

**„განსაკუთრებული პატივია მსოფლიო პატრიარქ ბართლომე I-თან შეხვედრა. უდიდეს მადლობას ვუხდი ჩვენი მასპინძლობისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო ბანაკების განხორციელებაში ჩვენი დახმარებისთვის. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო საპატრიარქოს, პირადად მსოფლიო პატრიარქ ბართლომე I-ის და მსოფლიო საპატრიარქოს იმვროსისა და ტენედოს მიტროპოლიტ კირილეს თანადგომა იმ კეთილ საქმეში, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის ვახორციელებთ.**

**მსოფლიო საპატრიარქოს მხარდაჭერით, უკვე მე-4 წელია აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის საბერძნეთში და ახლა უკვე თურქეთის რესპუბლიკაში საერთაშორისო ბანაკებს ვახორციელებთ, სადაც ახალგაზრდები ორი კვირის განმავლობაში მრავალფეროვან კულტურულ-შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობენ. მათთვის ასევე ტარდება ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში“,** – განაცხადა დავით ფაცაციამ.

მსოფლიო პატრიარქის პირადი მიწვევით აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები კუნძულ თენედოსზე წმინდა პარასკევას სახელობის ტაძარში წირვას დაესწრნენ.

შალვა პაპუაშვილი:

## ჟენევაში ერთობ საინტერესო საუბრები გვქონდა!

**მნიშვნელოვანი კონფერენცია იყო, ხუთ წელიწადში ერთხელ არის შესაძლებლობა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეები შეიკრიბონ და კონკრეტულ საკითხებზე ისაუბრონ, ჩვენთვისაც ეს პლატფორმა მნიშვნელოვანია, რათა ის კოლეგები გავიცნოთ, ვისთანაც ბევრი საერთო გვაქვს, მათ შორის სტრატეგიული საკითხები, ეს იქნება ევროპული ინტეგრაცია თუ რეგიონული განვითარება.**

ორი დღის განმავლობაში შესაძლებლობა იყო, რომ საუბარი შემდგარიყო ევროპელ კოლეგებთან, კანდიდატ ქვეყნებთან, მათ შორის იყო ალბანეთი, მოლდოვა, ბულგარეთი.

**„მათთან განვიხილეთ ის პროცესები, რაც მათ ქვეყანაში მიდის. ალბანეთში მოლაპარაკებები გახსნილია და საინტერესო იყო მათი გამოცდილების გაზიარება. იცით, რომ მოლდოვაზე მოლაპარაკებების გახსნა იგვიანებს და საინტერესო იყო, რა მოლოდინები ჰქონდათ. იანვრიდან ბულგარეთი ევროზონის ნაწილი გახდება და აქაც მნიშვნელოვანია, რა მოლოდინები არსებობს.**

**კომუნიკაცია იყო ავსტრიის პარლამენტის თავმჯდომარესთან და იმ კოლეგებთანაც, ვისთანაც შეიძლება ხშირი ურთიერთობა არ მქონდეს. მათ შორის იყო ბრაზილიისა და მალაიზიის პარლამენტის თავმჯდომარეები. როგორც ორმხრივი შეხვედრებით, ასევე ზოგადად, კონფერენციის მსვლელობისას არის შესაძლებლობა, რომ ბევრი საკითხი იყოს განხილული.**

**შესაძლებლობა მქონდა, კოლეგების წინაშე გამოვსულიყავი და იმ საკითხებზე გვესაუბრა, რაზეც საქართველო საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ექსპერტად ჩამოყალიბდა. გაუმჭვირვალე უცხოური დაფინანსების გამოწვევას ვგულისხმობ. კოლეგებთან საუბარშიც ჩანს, რომ ისინი იმ პრობლემატიკას ხედავენ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ადმინისტრაციამ ამხილა“,** – განაცხადა **პაპუაშვილმა.**

თამარ ჩერგოლეიშვილი:

## სინამდვილეში ბურჭულაძე მიშას „კუკლაა“...

მისი თქმით, ისე დაიბრუნებს პაატა ბურჭულაძე ქვეყანას, როგორც ლევან ხაბეიშვილმა მიხეილ სააკაშვილი „ვივამედიდან“ გაიტაცა.

**„ბიძინას დანიშნულ თარიღებში რომ „იბრუნებს“ ქვეყანას ეს კლოუნი, რომელიმე ჟურნალისტმა არ ჰკითხა, 1 ოქტომბერმა რა დააშავა? თუ რამის თავი აქვს, გაუგებარია, ბიძინას დანიშნული თარიღები რაში სჭირდება – 20 სექტემბერს რატომ არ იბრუნებს? „ქოცებს“, თუ უნდა, სალაპარაკო მისცეს, რომ 4 ოქტომბერს მაგათი ფარსის ჩაშლას ვაპირებთ? (25 ნოემბერი გაიხსენეთ, პირველი სესია რომ არ ჩაატარებინეს). სინამდვილეში ეს ტიპი მიშას „კუკლაა“ და სხვა ოდიოზურ ფიგურებთან ერთად იყენებს ყველა ერთობის ასარევად, სადაც მიშა არაა ცენტრში. მხოლოდ ამას ემსახურება ეს კლოუნადა. სალომე ზურაბიშვილსაც ამიტომ ურტყამდა ეს ხატმფრენი ვიგინდარა. ისე დაიბრუნებს ბურჭულაძე ქვეყანას, როგორც ხაბეიშვილმა გაიტაცა მიშა „ვივამედიდან“,** – დაწერა „ფედერალისტების“ ერთ-ერთმა ლიდერმა **თამარ ჩერგოლეიშვილმა.** მოძრაობა „რუსთაველის გამზირის“ ლიდერმა **პაატა ბურჭულაძემ** განაცხადა, რომ 4 ოქტომბერი არ იქნება უბრალოდ პროტესტის თარიღი, ეს იქნება ისტორიული გამარჯვების დღე.

ნომრის ციტატა

არჩილ გორდულაძე:

## „ნაცს“ როგორ შეიძლება, ქვეყნის დანგრევის გარდა სხვა რაიმე იდეა და მიზანი ჰქონდეს, სააკაშვილი ტყუილის, სამშობლოს ღალატის, ქვეყნის გამყიდველობის სიმბოლოა!



**კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ყველანაირად ცდილობს, საზოგადოების თვალში იტივტივოს, „ნაცს“ როგორ შეიძლება, ქვეყნის დანგრევის გარდა სხვა რაიმე იდეა და მიზანი ჰქონდეს,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა **არჩილ გორდულაძემ** განაცხადა.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი არის ტყუილის, სამშობლოს ღალატის და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ ბრძოლის და ქვეყნის გამყიდველობის სიმბოლო.

**„სისხლის სამართლის საქმე თუ მიმდინარეობს, შეუძლებელია, პარლამენტის წევრს ამაზე ინფორმაცია ჰქონდეს. ამიტომ როგორ შეიძლება, სერიოზული კომენტარი გააკეთო ადამიანზე, რომელიც სასჯელს იხდის „ვივამედში“ „ჯანმრთელობის მდგომარეობიდან“ გამომდინარე, იმ კლინიკაში, სადაც ექიმებმა სასწაული მოახდინეს და ორი განუკურნებელი სენისგან განკურნეს მიხეილ სააკაშვილი. მიხეილ სააკაშვილი არის ტყუილის, სამშობლოს ღალატის და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ ბრძოლის და ქვეყნის გამყიდველობის სიმბოლო და ამ ადამიანის განცხადებებზე საპასუხო კომენტარის გაკეთება ადამიანებისთვის შეიძლება, შეურაცხმყოფელიც იყოს“,** – განაცხადა **არჩილ გორდულაძემ.**

**„კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ყველანაირად ცდილობს, საზოგადოების თვალში იტივტივოს. რამენაირად მათ ტელევიზიებს შესაძლებლობა, ჰქონდეთ სიუჟეტები მოამზადონ ვითომ რაიმე აქტივობა აქვთ ან ვითომ რაიმე განცხადებებს აკეთებენ. რეალურად სათქმელი და ქვეყნის მომავლისთვის გასაკეთებელი არაფერი აქვთ. „ნაცს“ როგორ შეიძლება, ქვეყნის დანგრევის გარდა სხვა რაიმე იდეა და მიზანი ჰქონდეს, ისევ და ისევ ამ მიმართულებით გარედან ჩართულობით. მიხეილ სააკაშვილი, როგორც ბელადს შეეფერება, თავის აქტუალიზაციას ცდილობს და ათას სისულელეს ავრცელებს“!..**

**ბოლო პერიოდში ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ნამდვილი სერიალი გაჩაღდა, სადაც მთავარ როლს „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარე, ლევან ხაბეიშვილი ასრულებს. მას შემდეგ, რაც ხაბეიშვილმა ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების შესაძლო დაკავებები იწინასწარმეტყველა, ახლა უკვე საკუთარი დაპატიმრების „აფიშას“ აქვეყნებს, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას უკავშირებს. ანალიტიკოსებისა და მმართველი გუნდისთვის, ყველაფერი ეს, ხაბეიშვილის პოლიტიკურ თამაშსა და შესაძლო „აგენტურულ“ წარსულზე მიანიშნებს.**

## „მე იგივე ვარ მარად და მარად!..“




# ლევან ხაბეიშვილი — აგენტი, ლიდერი, მარიონეტი თუ პიარ-მენეჯერი, რომელსაც დაპატიმრება ელანდება

**ლევან ხაბეიშვილის მტკიცებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე, ღამის 12.00 საათისთვის, გამოქვეყნდა პოსტი, რომელშიც მისი დაკავების გეგმაზე იყო საუბარი.**

როგორც ხაბეიშვილი აცხადებს, პოსტში ეწერა ისეთი ფრაზები, როგორებიცაა „ციხის კარები გაიხსნა“ და „ყოველ საღამოს დაიღალნენ ჩემი მოსმენით“. ის ამას „ოცნებასა“ და შსს-ში აბსოლუტურ დეზორგანიზებას უკავშირებს და აცხადებს, რომ „მარტივად არ არის საქმე, ვინ ვის დაიჭერს, მაგასაც ვნახავთ“.

**„ღამის 12-ის ნახევარზე დადეს ეს პოსტი, რომ ხაბეიშვილი უნდა დაიჭირონ. ეს არის შს სამინისტროს ოფიციალური გვერდი. ყველამ კარგად იცის, რომ სტრატეგიული კომუნიკაციების ხელმძღვანელი მართავს ამ გვერდს. სხვათა შორის, ასეთი სიგიჟე არასდროს არ დაუწერიათ, რომ ციხის კარები გაიხსნა, რომ ყოველ საღამოს დაიღალნენ ჩემი მოსმენით და ა.შ. ეს ყველაფერი აჩვენებს აბსოლუტურ დეზორგანიზებას „ოცნებაში“, შსს-ში და რაღაცნაირად ცდილობენ, ახლა თითქოს ფსიქოლოგიურად ხაბეიშვილზე იძალადონ, რომ დამაკავებენ.**

**ძალიან ცუდი წარმოდგენა გქონიათ ჩემზე, ბიჭებო, ასე მარტივად არ არის საქმე, ვინ ვის დაიჭერს, მაგასაც ვნახავთ, დაგველოდეთ, ძალიან ბევრი საინტერესო რამ ვიცი თქვენს შესახებ. მესმის მათი ისტერიკის და აბსოლუტურად სწორად არიან ისტერიკაში, აბსოლუტურად სწორად ღელავს მინისტრად წოდებული გელა, გეკა თუ ჯეკა. ვწუხვარ, მაგრამ აბსოლუტურ სიგიჟეში ხართ, ბიჭებო“,** — განაცხადა **ლევან ხაბეიშვილმა.**

ამ განცხადებას მოჰყვა მიხეილ სააკაშვილის სკანდალური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სუს-ი ლევან ხაბეიშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერშიპის დაკავებასა და შეიარაღებული გადატრიალების მცდელობისთვის ბრალის წაყენებას აპირებს, ფალსიფიკაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. სააკაშვილი კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ ძალადობრივ ქმედებებს და აღნიშნავს, რომ მათი ამოცანა **„მაქსიმალურად ფართო საპროტესტო ფრონტის შექმნა და შემტევითი, ოღონდ მშვიდობიანი ქმედებებით ხელისუფლების შეცვლაა“.**

ხელისუფლებისთვის ლევან ხაბეიშვილის განცხადებები იმის დასტურია, რომ ის „აგენტია“. მმართველი გუნდის წარმომადგენლების თქმით, ხაბეიშვილმა დაადასტურა პრემიერ-მინისტრის მიერ რამდენიმე კვირის წინ გაკეთებული განცხადება, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ხაბეიშვილი, ბიძინა ივანიშვილს, შუამავლის საშუალებით, მოლაპარაკებას სთავაზობდა.

ექსპერტი **დავით ჩიხელიძე** სოციალურ ქსელში წერს:

**„ხაბე არ იცვლება და ანიტობას ადასტურებს, ფაქტობრივად, თვითონ აღიარებს აგენტი ვარ, ჩემი პატრონები არ დაიჭიროთ, მოსალაპარაკებლად მზად არიან, ამისთვის კი საჭირო კაცი გვჭირდება, ვინც კორუფციას არ ებრძვის და რაღაცებზე თვალს დახუჭავსო“. ჩიხელიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კორუფცია „წითელი ხაზია, სადაც კომპრომისს ციხე ცვლის“,** — ამბობს ანალიტიკოსი.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გიორგი ვოლსკი** კი მიიჩნევს, რომ ლევან ხაბეიშვილს „აბსოლუტურად არ აინტერესებს, რა მდგომარეობაა საზოგადოებაში, ვინაიდან მათი გეგმა არ შეცვლილა“. ვოლსკის თქმით, არსებობს დახურული გეგმები:

**„დესტაბილიზაცია მათი მთავარი მიმართულებაა, მათ შორის მათთვისაც, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ. ოპოზიციის მხარდამჭერი საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ გულწრფელები არიან ისინი, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ. ლევან ხაბეიშვილს აბსოლუტურად არ აინტერესებს, რა მდგომარეობაა საზოგადოებაში, ვინაიდან მათი გეგმა არ შეცვლილა“,** — აღნიშნა **ვოლსკიმ.**

ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ ლევან ხაბეიშვილი ჩვეულებრივი მარიონეტია, რომელიც პიარისთვის იბრძვის. ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** for.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი, „მყვირალა განცხადებებით“, საკუთარი პოლიტიკური პიარის გაკეთებას ცდილობს. მისი თქმით, ხაბეიშვილი იმის ილუზიას ქმნის, თითქოს ლიდერია და მოძრაობას სათავეში უდგება, რითაც ცდილობს პოლიტიკური ქულების დაწერას და საკუთარი იმიჯის განმტკიცებას საზოგადოების თვალში.

**„სახელმწიფო გადატრიალების მუხლი უმძიმესია და ძალიან სერიოზული მტკიცებულებები სჭირდება. ამიტომ, ნებისმიერი ადვოკატი ადვილად გაამართლებინებს ბრალდებულს, თუ რეალური და ხელჩასაჭიდი მტკიცებულებები არ იარსებებს. მე არ ვიცი, რასთან გვაქვს საქმე და რამდენად რეალურია „ქურქუმალ ვაითის“ ტრაბახი სპეცრაზმელების საკითხზე და 4 ოქტომბრის გეგმასთან დაკავშირებით, მაგრამ თუ სუს-ს რამე რეალური ხელჩასაჭიდი აქვს, მაშინ ხაბეიშვილზე გამოხმაურებას „ვივამედის“ კლინიკიდან მართლაც საფუძველი აქვს.**

**სააკაშვილის განცხადება აჩენს ეჭვს, რომ შესაძლოა, ის ვინმეს იარაღად იქნეს გამოყენებული და ციხისთვის გაწირონ. თუმცა, ბოლო დროს ვაკვირდებით ჩვენი პოლიტიკური ლიდერების ციხეში მოხვედრის სერიოზულ სწრაფვასა და სურვილს. ხაბეიშვილიც რაღაც ამ სტრატეგიით მოქმედებს და ვნახოთ. ვინც კანონს დაარღვევს, ის პასუხსაც აგებს“,** — აცხადებს **ქართველიშვილი.**

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს „ფეიკი“ და საკუთარი თავის საზოგადოებისთვის შეხსენებაზე ორიენტირებული ქმედება. ქართველიშვილი ეჭვობს, რომ ხაბეიშვილს სურს, პოლიტიკური ლიდერობის ხელში აღება და ყურადღების მისაქცევად, ყოველდღე, „ათას სისულელეს“ ამბობს:

**„არაფერი არ არის გასაკვირი და გამოსარიცხი. რა თქმა უნდა, არსებობს ეჭვი და ვარაუდი, რომ შესაძლოა, ხაბეიშვილი კონკრეტული პირების დაკვეთით საუბრობს. ის ამაში, როგორც პრემიერმა თქვა, გასამრჯელოსაც იღებს. თუმცა, არც ის გამოვრიცხოთ, რომ რომელიმე საელჩოს ხელდასხმითაც მოქმედებდეს, ან ეს ერთგვარი, კოორდინირებული სტრატეგია იყოს, რომელშიც შესაძლოა, ჩართულები იყვნენ ყოფილი მაღალჩინოსნები, რომელთა მიმართაც ლეგიტიმური კითხვები კორუფციაზე დაისვა.**

**ამიტომ, ხაბეიშვილი არის ფიგურა, მარიონეტი, რომელსაც კაცმა არ იცის, ვინ მართავს. მისი განცხადებებისა და რაღაც ბოდვების უკან ყოველთვის სხვა ხელი უნდა დავინახოთ. რაც შეეხება 4 ოქტომბერს, არჩევნები ჩატარდება მაღალ დონეზე. არანაირი არეულობა და არჩევნების ჩაშლის მცდელობა არ გამოვა, მითუმეტეს, ხაბეიშვილის ხელით“,** — ამბობს **ქართველიშვილი.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ეს რა დაგმართნია „ნაცების“ პოლიტსაბჭოს წევრო!




**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებულია პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი ლ. ც. (ლაშა ცანავა).**

სუს-ის ინფორმაციით, საქმე ეხება თაღლითობას, კერძოდ, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოპოვების უზრუნველყოფის სანაცვლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქის ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტს.

ჩატარებული გამოძიებით ამ ეტაპზე გამოვლენილია, რომ ლ. ც. უცხო ქვეყნის ერთ-ერთ მოქალაქეს თავისი კავშირების მეშვეობით საქართველოში 1-წლიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების უზრუნველყოფას შეჰპირდა, რის სანაცვლოდაც მას 5600 ამერიკული დოლარი მოსთხოვა.

**2025 წლის 21 მაისს უცხო ქვეყნის აღნიშნულმა მოქალაქემ ლ. ც-ს მოთხოვნით მის ანგარიშზე ზემოხსენებული თანხის ნაწილი ჩარიცხა.**



**ამის შემდგომ ლ. ც. მას სისტემატურად უკავშირდებოდა და დარჩენილი თანხის გადახდას დაჟინებით სთხოვდა. შედეგად, აღნიშნულმა პირმა 2025 წლის 30 მაისს და 12 ივნისს ქალაქ თბილისში ლ. ც-სთან შეხვედრებისას მას დამატებით 2500 ამერიკული დოლარი გადასცა. ამრიგად, ლ. ც. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მის მიერ მოთხოვნილი 5 600 აშშ დოლარიდან მოტყუებით დაეუფლა უცხო ქვეყნის მოქალაქის 2 650 ამერიკულ დოლარს.**

**მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოძიების ფარგლებში, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც მოპოვებულია აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ამსახველი აუდიო/ვიდეომტკიცებულებები. აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებასთან (თაღლითობასთან) დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**



# კორუფცია ქვეყნის ღალატად უნდა შეფასდეს!!!



# გამოძიება ჯუანშერ ბურჭულაძეზე გავიდა?

**ვიცე-სპიკერის გიორგი ვოლსკის განცხადებით, კორუფცია ქვეყნის ღალატად უნდა შეფასდეს. ის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის კორუფციაში ჩართულობას გამორიცხავს, თუმცა დასძენს, ეს არ ნიშნავს, რომ ამ კუთხით გამოძიება უნდა გაჩერდეს. ვიცე-სპიკერის განცხადება ადასტურებს, რომ ხმაურიანი გამოძიებების ფინალიც არანაკლებ სკანდალური და ხმაურიანი იქნება.**

ამავე კონტექსტში, ვოლსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არა აქვს არც ერთ გვარსა და თანამდებობას, თუკი სახელმწიფოს ინტერესებს უპირისპირდება.

**„რასაკვირველია, ვინმეს დაჭერა-დაკავება თვითმიზანი არ არის. კორუფცია, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს, ის საკითხია, რაც ქვეყანას ანგრევს. ეს იმ დონეზე უნდა იქნეს განხილული, როგორიცაა ქვეყნის ღალატი და პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს ნებისმიერი ადამიანი, რა წარმომავლობისაც არ უნდა იყოს და რომელ პოლიტიკურ გუნდშიც არ უნდა იყოს. ეს პასუხისმგებლობა ოპოზიციაში ითარგმნება, როგორც კლანებს შორის დაპირისპირება.**

**არის არა კლანების დაპირისპირება, არამედ საქართველოს ინტერესების დაპირისპირება იმასთან, რასაც კორუფცია ჰქვია. აქ სხვა არაფერი არ არის. ვის გვართანაც არ უნდა მიდიოდეს — რა გვარისა და რა წარმომავლობის ადამიანიც არ უნდა იყოს, ქვეყნის წინაშე ღალატის ეს დონე, რასაც მასშტაბური კორუფციის ხელშეწყობა და მასში ჩართულობა ჰქვია, დაუსჯელი არ დარჩება! გადახედეთ რეიტინგებს — კორუფციასთან ბრძოლაში საქართველო, მათ შორის, ევროკავშირის არაერთ ქვეყანას მნიშვნელოვნად უსწრებს წინ“,** — განაცხადა **გია ვოლსკიმ.**

კითხვაზე, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის გარემოცვის პასუხისმგებლობაზე საუბარი ნიშნავს თუ არა იმას, რომ ამ მიმართულებით, ჯუანშერ ბურჭულაძისა და ირაკლი ღარიბაშვილის პასუხისმგებლობაც არის საკვლევი, ვოლკიმ განაცხადა, რომ უყურადღებოდ არავინ დარჩება.

**„გამომძიებელი არ ვარ, მაგრამ ვითარება იმას მოითხოვს, რომ ყველაფერი შეფასდება. რასაკვირველია, არავინ უყურადღებოდ არ დარჩება, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილის მიმართულებით კითხვების დასმა, გვარების წამოწევა, რასაკვირველია, გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება. ეს რამე მზაკვრული გეგმა არ არის — ეს ჩვეულებრივი ამბავია და კრიტიკულმა მედიამ ასე უნდა ისაუბროს, მაგრამ ამის უკან არის გარკვეული აზრი და გეგმა, რომ როგორმე, ხელისუფლების მიმართ უნდობლობა შეიქმნას.**

**ჩვენთვის არც ერთ გვარს, არც ერთ თანამდებობას მნიშვნელობა არ აქვს, თუკი ეს სახელმწიფოს ინტერესებს უპირისპირდება. საერთოდ, არასდროს არაფერი არ უნდა გამორიცხო! პირადად მე გამოვრიცხავ, რომ ამაში კიდევ ვიღაც ადამიანები შეიძლება იყვნენ ჩართული, მაგრამ ჩემი გამორიცხვა იმას არ ნიშნავს, რომ გამოძიება ამ მიმართულებით უნდა გაჩერდეს. პირადად მე გამოვრიცხავ იმას, რომ ირაკლი ღარიბაშვილი შეიძლება რამე ცუდ საქმეში იყოს ჩართული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოძიებამ წესები უნდა დაარღვიოს. თუკი საჭიროა გია ვოლსკის, ირაკლი ღარიბაშვილის, თუ ვისიც გინდა, გამოკითხვა, ამაზე გამოძიება უკან არ დაიხევს“, — განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.**

**არაოფიციალური ინფორმაციით, გამოძიება უკვე გავიდა თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის კვალზე. გახმაურებული საქმის პროკურორი ადასტურებს, რომ გამოძიების პროცესში შეფასდება ჯუანშერ ბურჭულაძის ქმედებებიც. როგორც ირაკლი მარშანიამ აღნიშნა, საქმეზე გამოძიება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო.**

**„ამ ეტაპზე, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნულში მონაწილეობდნენ იმდროინდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ხაინდრავა, შესყიდვების სამსახურის ყოფილი უფროსი ვლადიმერ ღუდუშაური და იმდროინდელი თავდაცვის მინისტრის ნათესავი ვასილ მხეიძე. მათ შექმნეს არაკონკურენტული გარემო და შესყიდულ იქნა ძვირადღირებული სამედიცინო აპარატურა. ეს არის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და გაიფლანგა, დაახლოებით, 1 300 000 ლარზე მეტი სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხა.**

**სავალდებულო არ არის, კონკრეტულ კორუფციულ საქმეზე ვიღაცა მოვიდეს და განაცხადოს კონკრეტული ფაქტის შესახებ. მოცემულ საქმეზე იყო შესაბამისი ოპერატიული ინფორმაცია. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება. მოპოვებულ იქნა არაერთი მტკიცებულება, მათ შორის, გაყალბებული დოკუმენტები, ექსპერტიზის დასკვნა, რაც ადასტურებს ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენას. იმის თქმა, რომ მტკიცებულება საქმეში არ არის, დაუსაბუთებელი პოზიციაა“,** — განაცხადა **ირაკლი მარშანიამ.**

კითხვაზე, გამოიკითხა თუ არა თავდაცვის ყოფილი მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, პროკურორმა აღნიშნა, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ კითხვას ვერ უპასუხებს.

**„ყველა საგამოძიებო ვერსია შემოწმდება, მათ შორის, ჯუანშერ ბურჭულაძის ქმედებებიც იქნება შეფასებული გამოძიების პროცესში. ვინ გამოვკითხეთ, რა მიმართულებით მივდივართ, რა ვერსიებს ვამოწმებთ, ამასთან დაკავშირებით სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე“,** — განაცხადა **ირაკლი მარშანიამ.**

თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილეს **გიორგი ხაინდრავას,** იმავე სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, **ვლადიმერ ღუდუშაურსა** და თავდაცვის იმდროინდელი მინისტრის ცოლისძმას, **ვასილ მხეიძეს** აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა. თ. ღუდუშაურსა და ხაინდრავას — განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის ჯგუფურად გაფლანგვას ედავებიან, მხეიძეს კი — გაფლანგვაში დახმარებას.

ბრალის მიხედვით, ჯუანშერ ბურჭულაძის მოადგილემ **გიორგი ხაინდრავამ** და თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის იმდროინდელმა უფროსმა **ვლადიმერ ღუდუშაურმა** ბურჭულაძის ცოლისძმის **ვასილ მხეიძის** დახმარებით, სამინისტროს მიერ სამხედრო ჰოსპიტლისთვის, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფის აპარატის შეძენის პროცესში, მიზანმიმართული ქმედებებით არაკონკურენტული გარემო შექმნეს, რის შედეგადაც, არარეალური ფასების დადების გზით, გაიზარდა აპარატის რეალური ღირებულება. საბოლოოდ, ბრალდებულებმა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 1 333 728 ლარი გაფლანგეს.

**დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ და დუმილის უფლებით სარგებლობენ.** თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ **გიორგი ხაინდრავამ სასამართლოზე აღნიშნა, რომ ბრალდებას გაეცნო და არ ეთანხმება.** სასამართლოზე დაკავებულების ადვოკატებმა გირაო მოითხოვეს და გირაოს თანხად, თითოეულმა 100 000 ლარი დაასახელა. ჯუანშერ ბურჭულაძის ცოლისძმის ადვოკატი **ტარიელ კაკაბაძე აცხადებს, რომ საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი.** როგორც მან განმარტა, მხეიძის წინააღმდეგ ერთადერთი მოწმეა, რომელმაც მას ხელი დაადო, რათა საკუთარი თავი გორკილების დადებისგან ეხსნა.

**„100 000-ლარიანი გირაოს გამოყენების შუამდგომლობა დავაყენეთ. თუკი სასამართლო თანხის მეტ ოდენობას ჩათვლიდა საჭიროდ, აღნიშნულის უზრუნველყოფას უძრავი ქონებით მოვახდენდით“,** — აღნიშნა **ტარიელ კაკაბაძემ.**

თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ვლადიმერ ღუდუშაურის 100 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება მოითხოვა ადვოკატმა დიმიტრი მჭედლიშვილმა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სასამართლომ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის შუამდგომლობა. როგორც ადვოკატი აცხადებს, ბრალდების მხარის მიერ გაჟღერებული ბრალდებები უსაფუძვლოა.

**თამთა ქარჩავა**

# ბიუჯეტი მილიონი ლარით აზარალეს!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის ივლისის თვეში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ოთხი მეწარმე სუბიექტის მიმართ,** — ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, **საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, სისტემატურად ახდენდნენ მათი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიების შემოსავლების არასწორ დეკლარირებას, რა გზითაც მათ თავი აარიდეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ ძირითად გადასახადს — ჯამში 865 904 ლარის ოდენობით.**

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან რვა წლამდე ვადით.

ტარდება შესაბამისი ღონისძიებები სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის მობილიზების მიზნით.

**საგამოძიებო სამსახური მეწარმე სუბიექტებს მოუწოდებს, დაიცვან საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და დროულად უზრუნველყონ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული საგადასახადო დავალიანების გადახდა.**



# მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ახალი პროგრამა

**თბილისის მერია მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ახალ პროგრამას იწყებს. დაფინანსება საშუალებას მისცემს მეწარმე სუბიექტებს, მოიპოვონ საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, გააუმჯობესონ წარმოების პროცესები, გაზარდონ დასაქმებულთა რაოდენობა და მომხმარებლებს მიაწოდონ უფრო ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტი. დაფინანსდებიან ის მოქმედი მეწარმე იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 000 ლარს.**

დაფინანსებას ექვემდებარება, როგორც პროდუქციის დასამზადებლად საჭირო აღჭურვილობა/მანქანა-დანადგარები/ტექნოლოგია, ისე პროდუქციის დამუშავებისა და დამატებული ღირებულების შექმნისთვის საჭირო სხვა კატეგორია.

**საწყის ეტაპზე, მოთხოვნილი თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრულია 20 000 ლარით, თანადაფინანსებაში განმცხადებლის თანამონაწილეობის პროპორციულობა კი შემდეგნაირად განისაზღვრება: 5 000 ლარის ჩათვლით – მოთხოვნილი თანხის 10%; 5 001 – 20 000 ლარის ჩათვლით – მოთხოვნილი თანხის 15%. განაცხადების მიღება დაიწყება დღეიდან და გაგრძელდება 15 კალენდარული დღის განმავლობაში.**

განაცხადის ფორმისა და საჭირო დოკუმენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ თბილისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

* * *

**პირველი აგვისტოდან მთაწმინდის რაიონში, ვაზისუბნისა და გაგების დასახლებებში, დიდი დიღმის ნაწილსა და გერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა ამოქმედდება.**

ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის უფასო პარკირებისთვის სისტემაში რეგისტრაცია 1 ივლისიდან დაიწყო. დღესაც არის შესაძლებლობა, რომ მიხვიდეთ საინფორმაციო ჯიხურებში და ჩვენი თანამშრომლები დაგეხმარებიან, ხელს შეგიწყობენ იმისთვის, რომ შემდგომში თქვენივე საცხოვრებელ სახლებთან ავტომობილის პარკირება შეძლოთ ყოველგვარი გადასახადის გარეშე. აღნიშნულ მისამართებზე ზონალურ-საათობრივი პარკირებისთვის სულ 1 340 ადგილია გათვალისწინებული, მათ შორის, 14 ადგილი შშმ პირთა პარკირებისთვის, ხოლო ელექტრომობილის დამუხტვისთვის – ორი ადგილი. შეგახსენებთ, რომ პარკირება ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფასოა. ამისთვის მათ სისტემაში თავიანთი ავტომობილები უნდა დაარეგისტრირონ, რის შემდეგაც 100 მეტრის რადიუსში უფასოდ შეძლებენ ორი სატრანსპორტო საშუალების პარკირებას. დანარჩენ შემთხვევებში, პარკირების ღირებულება ერთ საათში ერთ ლარს შეადგენს.



## თბილისის მთავრობის სხდომა

* * *

**მთაწმინდის რაიონში, ალექსანდრე გრიბოედოვის N16-ში საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრება მიმდინარეობს. შენობა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამაგრდება.**

პროექტით გათვალისწინებულია შენობის კონსტრუქციული ელემენტების – საძირკვლისა და მზიდი კედლების არმირება და ბეტონირება, ფანჯრების ღიობების მოჩარჩოება. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება შენობის ფასადს. ამაჟამად შენობაში 20 ოჯახი ცხოვრობს. შენობის გამაგრების შემდეგ, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში დასრულდება, მათი საცხოვრებელი პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდება.

* * *

**რაც შეეხება თვალჭრელიძის ქუჩაზე მდებარე კერძო საკუთრებაში შეჭრილი მოქალაქეების საკითხს, მუნიციპალიტეტი გამოხატავს სრულ მზადყოფნას, რომ იმ ოჯახებს, ვინც თბილისშია რეგისტრირებული და საცხოვრებელი ფართები არ აქვთ, მათ უზრუნველვყოფთ ქირით და ექნებათ ნორმალურ პირობებში ცხოვრების შესაძლებლობა.**

გარდა ამისა, თუ ამ მისამართზე მცხოვრებ ადამიანებს არ გააჩნიათ საცხოვრებელი სახლები, ამასაც შესაბამისი პროცედურები აქვს. ჯერ უნდა მიიღოთ უსახლკაროს სტატუსი. შეგიძლიათ, მიბრძანდეთ სამგორის რაიონის გამგეობაში, სადაც დაგეხმარებიან, თუ რა საბუთები უნდა შეაგროვოთ და წარადგინოთ ჯანდაცვის სამინისტროში, რომ სტატუსი მიიღოთ. ამ სტატუსის მიღების შემდეგ მუნიციპალიტეტი შესაბამისი ქონებით დაგაკმაყოფილებთ, იქამდე კი ქირით იქნებით გაყვანილი. ამ ეტაპზე, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები სამი ოჯახი უკვე დათანხმებულია ქირით გაყვანაზე და ამისთვის შესაბამისი პროცედურები მიმდინარეობს. ნუ მოუსმენთ არასწორ ინფორმაციებს, რადგან ხშირად ხდება მსგავსი შემთხვევების სათავისოდ გამოყენება, პოლიტიკური სპეკულაციები, თუმცა, რეალობა ერთია, რომ მუნიციპალიტეტი, როგორც ადრე, ახლაც გამოთქვამს მზადყოფნას ქირით გაყვანისთვის.

* * *

**საბურთალოს რაიონის გამგეობამ პეკინის გამზირზე, N33, N35, N37 და N39 კორპუსების მიმდებარედ რეკრეაციული სივრცის მოწყობა დაასრულა. პროექტის ფარგლებში, 5 000 კვ.მ ფართობზე დამონტაჟდა შესაბამისი საპარკო ინფრასტრუქტურა.**

მოეწყო სატრენაჟორო და საბავშვო-გასართობი ზონები, განათებისა და სარწყავი სისტემები. ტერიტორია გამწვანდა და დაირგო ხე-მცენარეები. პროექტის ჯამური ღირებულება 1 500 000 ლარია. ვაგრძელებთ არსებული სივრცეების ათვისებას – პარკების, სკვერების მოწყობას.

გლდანის მეშვიდე მიკრორაიონის **N**10 კორპუსთან სკვერის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოები 1 000 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე ტარდება. ტერიტორიაზე ეწყობა მოსასვენებელი პავილიონი, ბავშვთა გასართობი და ფიტნეს ზონები, მონტაჟდება გარე განათებისა და სარწყავი სისტემები, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოებისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 300 000-მდე ლარი დაიხარჯება. ასევე, გლდანის გამგეობამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო პატარა ტბის მიმდებარე ტერიტორიაზეც. კერძოდ, წყალარინების ქსელისა და სატუმბი სადგურის მშენებლობა. პროექტის განსახორციელებლად, დაახლოებით, ნახევარ მილიონ ლარამდე დაიხარჯება.

* * *

**ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ლევან ყიფიანი დაინიშნება. ის ბოლო თვეების განმავლობაში გამგებლის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა.**

ლევან ყიფიანი 2018 წლიდან ჩვენთან ერთად ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებდა. ვუსურვებ მას წარმატებებს. ვაკის რაიონში ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები. საკმაოდ ამბიციური გეგმები გვაქვს მომდევნო წლების განმავლობაში. დარწმუნებული ვარ, ამ გამოწვევებს ერთიანი ძალისხმევით ღირსეულად ვუპასუხებთ.

**გუშინ საღამოს „ქართული ოცნება – დემოკრატიულმა საქართველომ“ მეროების კანდიდატად კვლავ კახა კალაძე დაასახელა.**




# საქართველოში რეინჯერთა მსოფლიო დღე აღინიშნა

**წელს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოში რეინჯერთა დღე მასშტაბურად, ოთხ სხვადასხვა ლოკაციაზე: ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე, კოლხეთისა და ალგეთის ეროვნულ პარკებსა და სათაფლიას აღკვეთილში აღინიშნა.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე გამართულ ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი დაესწრო.

**„31 ივლისი რეინჯერთა მსოფლიო დღეა. საქართველოს უნიკალურ ბუნებას, დაცული ტერიტორიების ფარგლებში, 21 ადმინისტრაციულ ერთეულში გადანაწილებული 500-მდე რეინჯერი იცავს. დაცული ტერიტორიები წარმოადგენს საქართველოს 13%-ზე მეტს, აქედან გამომდინარე მათზე დაკისრებული მოვალეობა მრავალმხრივი, რთული და რისკის შემცველია.**

**კიდევ ერთხელ ვულოცავ რეინჯერებს, ჩვენ ერთად გავაგრძელებთ მუშაობას საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის დასაცავად. ჩვენი გამორჩეული ბუნება ჩვენი მომავალი თაობების საკუთრებაცაა და სწორედ ამიტომ უნდა ვიზრუნოთ მასზე განსაკუთრებულად“,** – განაცხადა **დავით სონღულაშვილმა.**

დღეისათვის 100 დაცული ტერიტორია: სახელმწიფო ნაკრძალები (14), ეროვნული პარკები (15), ბუნების ძეგლები (40), აღკვეთილები (26), დაცული ლანდშაფტები (5) და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია მთელი ქვეყნის ტერიტორიის 13%-ზე მეტს ფარავს და 920 000 ჰექტარზე მეტ ფართობს შეადგენს. ღონისძიების ფარგლებში, ტრადიციულად, დაცული ტერიტორიების 25-ვე ადმინისტრაციაში, „წლის რეინჯერი“ გამოვლინდა, რომლებსაც სერტიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

# მდინარე მტკვარზე ახალი 389-მეტრიანი ხიდი აშენდება

**საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მცხეთის, შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებს შორის სატრანსპორტო კავშირის გასაუმჯობესებლად ახალი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას იწყებს.**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით,



პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი მნიშვნელობის ქსანი-სასხორის გზის 2.9 კმ სიგრძის მონაკვეთს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია და მდინარე მტკვარზე აშენდება ახალი 389-მეტრიანი ხიდი. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 20 მილიონ ლარს შეადგენს და სრულად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონებს შორის კავშირს. ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი ნიჩბისი-დიდგორის მიმართულებით უმოკლესი გზით დაუკავშირდებიან ერთმანეთს, რაც გააუმჯობესებს გადაადგილების ხარისხს და გაამარტივებს სატრანსპორტო მიმოსვლას. ამავდროულად, განიტვირთება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი, განსაკუთრებით თბილისის შემოსასვლელი მონაკვეთი.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ხელს შეუწყობს მჭიდროდ დასახლებული სოფელ ქსანის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ზონის განვითარებას. ამჟამად სოფელში მისასვლელად გამოიყენება ქანდა-ქსნის გზა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჩქაროსნულ მაგისტრალს.

# „საზაფხულო ბანაკი 2025“

**ბაკურიანში ოფიციალურად გაიხსნა გორის მუნიციპალიტეტის დაფინანსებული ახალგაზრდული ბანაკი – „საზაფხულო ბანაკი 2025“.**

გორის მერიის ინფორმაციით, პირველი ნაკადი ბაკურიანში გორიდან გამგზავრდა. ბანაკს წელს 180 ახალგაზრდა უმასპინძლებს, 16-დან 20 წლამდე ასაკობრივი ჯგუფიდან. მონაწილეები ბაკურიანში ეტაპობრივად, ოთხ ნაკადად გაემგზავრებიან. თითოეული ნაკადი ბანაკში 5 ღამე და 6 სრული დღე დარჩება. ბანაკის პროგრამა და აქტივობები „საზაფხულო ბანაკი 2025“ განათლებასა და პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. მონაწილეები მიიღებენ მონაწილეობას: ტრენინგებში, რომლებიც მოიცავს შემდეგ თემებს: ემოციების მართვა, ეფექტური კომუნიკაცია, პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა, მედიაწიგნიერება, პროექტების წერა, ციფრული უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი.

**„მეგრელთა საქმე“ კრემლში იმ დროს მომზადდა, როცა არც სტალინს და არც ბერიას არ შეეძლოთ ამისთვის ხელის შეშლა!**

ამ ცოტა ხნის წინ დასრულდა ა. ასლანიშვილის მეტად საინტერესო წერილების სერია ე. წ. „მეგრული საქმის“ შესახებ, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში იქნა შეკოწიწებული საკავშირო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში. დასაზუსტებელია, მხოლოდ ვინ რა როლს თამაშობდა ამ ბინძურ და სამარცხვინო საქმეში იმდროინდელი ხელმძღვანელებიდან და რამდენად მონაწილეობდნენ ამაში იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია.


კანდიდ ჩარკვიანი


ვალიკო ბაქრაძე


აკაკი მგელაძე


ლავრენტი ბერია და იოსებ სტალინი

# „ზოგიერთი რამ ე. წ. „მეგრული საქმის“ თაობაზე

**თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სტალინს უკვე აღარ შეეძლო ამ საქმეებში აქტიური მონაწილეობის მიღება გადატანილი მძიმე ინსულტის გამო, ისევე როგორც ბერიას, რომელიც 1945 წლიდან აღარ იყო უშიშროების მინისტრი.**

სწორედ დროის ამ მონაკვეთში – 1949 წლიდან სტალინის გარდაცვალებამდე – შიდაპარტიულმა ბრძოლამ სახელისუფლებო ელიტაში სრულიად დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი მიიღო. მეტოქეებთან ანგარიშსწორების გასაადვილებლად მათ 1950 წლის იანვარში ხელახლა შემოიღეს 1947 წელს გაუქმებული კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ, რის შემდეგაც დაიხვრიტა უამრავი უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო პირი, მათ შორის პოლიტბიუროს სამი წევრი – **ბერია, ვოზნესენსკი** და **კუზნეცოვი** და სამი მარშალი – იგივე **ბერია, კულიკი** და **ხუდიაკოვი** (ხამფერიანცი). უნდა აღინიშნოს, რომ კუზნეცოვს და ვოზნესენსკის სტალინი თავის პოლიტიკურ მემკვიდრეებად მოიაზრებდა, პირველს – როგორც ცკ-ს მდივანს და მეორეს – როგორც მთავრობის თავმჯდომარეს. ეს იცოდნენ ხრუშჩოვმა და მალენკოვმა, რომლებმაც სტალინის სიკვდილის შემდეგ ეს პოსტები დაიკავეს.

1951 წლის თებერვლიდან პოლიტბიუროს სპეციალური დადგენილებით სტალინი გათავისუფლდა მინისტრთა საბჭოს სხდომების თავმჯდომარეობიდან, რის შემდეგაც ამას რიგრიგობით პოლიტბიუროს წევრები ბერია, ბულგანინი და მალენკოვი ასრულებდნენ. ბერია ამ დროს ატომური ენერგიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იყო და ამავე დროს ლომონოსოვის უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მშენებლობას კურირებდა, ხოლო სახელმწიფო უშიშროების საკითხებს პოლიტბიუროს წევრები მალენკოვი და ხრუშჩოვი განაგებდნენ, რომლებმაც შეძლეს 1951 წელს ერთდროს ყოვლისშემძლე „სმერშის“ უფროსის, უშიშროების მინისტრის აბაკუმოვის თანამდებობიდან გადაყენება და დაპატიმრება და მის მაგივრად თავისი კაცის იგნატიევის დანიშვნა. მან წამოიწყო ე. წ. „მავნებელ ექიმთა საქმე“, რომელიც უშიშროების ერთ-ერთ თანამშრომელს რიუმინს დაევალა. დააპატიმრეს ცნობილი პროფესორი **ეტინგერი,** რომელსაც სახელმწიფოს პირველი პირების განზრახ მოწამვლა დააბრალეს და წამებით აიძულეს თანამზრახველთა რიცხვი თანდათანობით ოცდაათამდე გაეზარდა. **აბაკუმოვს,** ვითომდა სტალინის სახელით, მიუთითებდნენ, რომ მეტი სიმკაცრე გამოეჩინა ამ საქმის გამოძიებაში. აბაკუმოვი ცდილობდა თავის მართლებას: **„იოსიფ ვისსარიონოვიჩ, ამ ეტინგერს სულ ტყავს გავაძრობდით, მაგრამ საქმე ისაა, რომ არაფერი დანაშაული არ უმტკიცდება“,** სწერდა იგი სტალინს. მან არ იცოდა, რომ მის წერილებს სტალინი კი არა მალენკოვი და მისი თანაშემწე სუხანოვი ღებულობდნენ. ბოლოს, როცა ეტინგერმა წამებას ვეღარ გაუძლო და სული დალია, იმავე პოდპოლკოვნიკ რიუმინს დაავალეს მიეწერა სტალინისთვის, რომ აბაკუმოვმა განზრახ შეუქმნა ეტინგერს გაუსაძლისი პირობები, რომ როგორც მოწმე თავიდან მოეშორებინა გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით. ეს წერილიც, როგორც მანამდე, სუხანოვმა მიიღო და არა სტალინმა. აბაკუმოვი კი სამწელიწადნახევრის პატიმრობისა და წამების შემდეგ, 1954 წლის დეკემბერში დახვრიტეს. ხრუშჩოვმა უბრძანა იმდროინდელ გენპროკურორ რუდენკოს, განაჩენი გამოტანისთანავე აღესრულებინა და მაშინვე მისთვის მოეხსენებინა.


გიორგი მალენკოვი და ნიკიტა ხრუშჩოვი

მალენკოვის მრავალწლიანი თანაშემწე დიმიტრი სუხანოვი კრიმინალური პიროვნება გახლდათ, რაც საბოლოოდ დაუსჯელი არ დარჩენილა. მას ევალებოდა დაპატიმრებულ მაღალ თანამდებობის პირთა საბუთების აღწერა და დალუქვა, რა დროსაც მას ბერიას სეიფში შენახულ 3-პროცენტიან ობლიგაციებზე წაუცდა ხელი. ეს ამბავი არ გამოპარვიათ ფხიზელ ჩეკისტებს, მაგრამ მაშინ ვერაფერი გაუბედეს, სამი წლის შემდეგ კი, როცა მისი შეფის მზე ჩაესვენა, ეს ხელმრუდობა დაუყოვნებლივ გაუხსენეს და ათი წელი გაატარებინეს ციხეში. არც მის უფროსზე შეიძლება რაიმე კარგის თქმა. როდესაც სტალინის სიკვდილის შემდეგ ახალი ხელისუფლების ლიდერი ლონდონში ჩავიდნენ პირველი საგარეო ვიზიტით, მალენკოვი იქაური მიმომხილველების შეფასებით ხრუშჩოვთან შედარებით უფრო კულტურულად გამოიყურებოდა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავდნენ სადისტურ ელემენტებს მის გამომეტყველებაში, და არც თუ უსაფუძვლოდ. თუმცა ბატონი ალეკო ასლანიშვილის მიერ ციტირებული ავტორი სტოლიაროვი წერს, მალენკოვი ანტისემიტი არ ყოფილაო, სინამდვილეში იგი პირწავარდნილი ანტისემიტი გახლდათ. ცნობილი რუსი პოეტი, ეროვნებით ებრაელი, **ილია სელვინსკი** მოგვითხრობს, თუ 1943 წელს როგორ გამოიძახეს ყირიმის ფრონტიდან, სადაც იგი იმ დროს სამხედრო კორესპონდენტი იყო, მოსკოვში, ცკ-ს ორგბიუროში, რომელსაც მალენკოვი თავმჯდომარეობდა, როგორ მრისხანედ აძალებდა იგი სელვინსკის ეღიარებინა, რომ მის ერთ-ერთ ლექსში მოხსენიებულ მახინჯ პიროვნებაში სტალინი იყო ნაგულისხმევი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, რომ ამ დროს სრულიად შემთხვევით სტალინი არ შემოსულიყო ოთახში, მალენკოვთან რაღაცის დასაზუსტებლად და არ დაინტერესებულიყო, თუ რა ხდებოდა, იქ... ამის შემდეგ ყველაფერი ოხუნჯობით დამთავრდა და საშინელ საფრთხეს გადარჩენილი პოეტიც უვნებლად დაბრუნდა სახლში.

უნდა აღინიშნოს, რომ ექიმ **ლიდია ტიმაშუკის** წერილი, რომელშიც იგი ჟდანოვის სიკვდილში მკურნალ ექიმებს სდებდა ბრალს, **აბაკუმოვმა** ჯერ კიდევ 1948 წელს გაუგზავნა სტალინს, მაგრამ მან ეს სერიოზულად არ ჩათვალა და არქივში გადაგზავნა. ახლა კი მას არავითარი საშუალება აღარ ჰქონდა ამ ამბებში ჩარეულიყო, თუმცა ბრალდებულთა შორის მისი პირადი ექიმი **ვინოგრადოვიც** იყო, რომელსაც სტალინი ყველაზე მეტად ენდობოდა.

შეცვალეს სტალინის სანდო პირები – პირადი დაცვის უფროსი **ვლასიკი,** თანაშემწე **პოსკრებიშჩევი.** კუნცევოს აგარაკის სამნეო ნაწილის გამგე **აფანასიევს** საიდუმლო ქაღალდებში ჩახედვა დასდეს ბრალად და დახვრიტეს.

„მეგრული საქმის“, ისევე როგორც „მავნებელ ექიმთა“, „ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის“ და „ლენინგრადის საქმის“ მთავარი ორგანიზატორი, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მალენკოვი უნდა ყოფილიყო ხრუშჩოვთან ერთად. სტალინის გარდაცვალების შემდეგ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების გაერთიანებული სამინისტროს უფროსად დანიშნულმა ბერიამ გააუქმა ეს შეთითხნილი საქმეები და შეეცადა დამნაშავეების დასჯას. **იგნატიევი** მინისტრობიდან გადააყენეს და პარტიიდან გარიცხეს. ბერიამ დააპატიმრა რიუმინი და ცნობილი ებრაელი მსახიობის სოლომონ მიხოელსის მკვლელობის ორგანიზატორი გენერალი ოგოლცოვი. რიუმინი დახვრიტეს, ოგოლცოვი კი ორიოდე წელიწადი აყურყუტეს ციხეში და მერე გაათავისუფლეს.

**ისე, რომ „მეგრული საქმე“, როგორც დანარჩენი „საქმეები“ კრემლში იმ დროს მომზადდა, როცა არც სტალინს და არც ბერიას არ შეეძლოთ ამისთვის ხელის შეშლა. ის, რომ ვითომ სტალინი რუხაძესთან ქართულ ენაზე აწარმოებდა მიწერ-მოწერას, სრული აბსურდია. როგორც ჩანს, მოსკოველი ჩეკისტები თავიანთ ქართველ კოლეგებს ამასხარავებდნენ.**

* * *

**კანდიდ ჩარკვიანის და ვალიკო ბაქრაძის გამტყუნებაც ძნელია, რადგან მათ და ყველა დანარჩენებს კარგად ახსოვდათ 1937 წლის საშინელებები და ყველა საკუთარ თავს უფრთხილდებოდა.**

**აკაკი მგელაძეზე** კი უნდა ითქვას, რომ ის საკმაოდ გონებაშეზღუდული ბიუროკრატი გახლდათ, სრულიად შეუფერებელი აფხაზეთის და მითუმეტეს მთელი საქართველოს ხელმძღვანელობისთვის. სასაცილოა, ბარამიასთვის ბრალად წაყენება, რომ სამეგრელოში რომელიღაც კოლმეურნეობა მისი სახელობისა იყო. რაჭაში, სადაც საზაფხულო არდადეგებს ვატარებდი, ჩვენი სოფლის კოლმეურნეობა ჩარკვიანის სახელობისა იყო, მეზობელი სოფლის კი ჩხუბიანაშვილის (მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის).

**კარგად მახსოვს მგელაძის მოხსენებები, რომლებიც ყოველთვის ერთი და იგივე ფრაზით მთავრდებოდა: დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ!**

**მიხეილ გამყრელიძე,**
ნიუ-იორკი.


ვიქტორ აბაკუმოვი


ნიკოლაი ვლასიკი

**„მეგრული საქმის“, ისევე როგორც „მავნებელ ექიმთა“, „ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის“ და „ლენინგრადის საქმის“ მთავარი ორგანიზატორი, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მალენკოვი უნდა ყოფილიყო ხრუშჩოვთან ერთად. სტალინის გარდაცვალების შემდეგ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების გაერთიანებული სამინისტროს უფროსად დანიშნულმა ბერიამ გააუქმა ეს შეთითხნილი საქმეები და შეეცადა დამნაშავეების დასჯას.**

POLITICO

# ან ზელენსკი, ან რუსეთის აგენტობა!!!

**როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, უკრაინა ორი მხრიდან განიცდის თავდასხმას. მისი პირველი და ყველაზე აშკარა მოწინააღმდეგე მოსკოვია, რომელსაც დიდი ხანია სურს ქვეყნის დაბრუნება იმ დროში, როდესაც იგი კრემლის სათამაშო და უბრალოდ რუსეთის სატელიტი იყო. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი მზაკვრული და „კოროზიული" მოწინააღმდეგე შიგნიდან — ქვეყნის ნახევრად ავტოკრატიული ხელმძღვანელობა.**



# უკრაინის მზაკვარი მტერი მისივე ხელმძღვანელობაა

**სწორედ ამას აპროტესტებენ ოპოზიციონერები და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები თვეების განმავლობაში, რადგან უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაცია სულ უფრო მეტ ძალაუფლებას ითვისებს, ასუსტებს სხვა მმართველ და რეგიონულ ინსტიტუტებს – მათ შორის ქვეყნის პარლამენტს, ამავდროულად მთავრობა აშინებს კრიტიკოსებს და მათ რუსეთის მარიონეტების იარლიყს აკრავს.**

ისინი ამბობენ, რომ ამ დემოკრატიული უკუსვლის მასშტაბები მიმდინარე კვირაში უფრო ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის ორი ძირითადი ანტიკორუფციული საააგენტო გაანადგურა, რომლებიც მთავრობის მაღალჩინოსნებზე იყვნენ ორიენტირებული. ამ ნაბიჯმა გამოიწვია ქვეყნის მასშტაბით ქუჩის პირველი საპროტესტო აქციები რუსეთის სრულმასშტაბიანი შემოჭრის შემდეგ 2022 წლიდან.

**კიევში ასობით მომიტინგე გამოვიდა პრეზიდენტის კომპლექსის მახლობლად, ხოლო ვეტერანების, მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების და მშვიდობიანი მოქალაქეების დიდი მასა ათობით სხვა ქალაქში შეიკრიბა, მათ შორის ლვოვში და ფრონტის ხაზის ქალაქებშიც კი – ოდესასა და დნიპროში. აქციების მიუხედავად, ზელენსკიმ დაამტკიცა ახალი კანონი, რომელიც ეროვნულ ანტიკორუფციულ ბიუროს (NABU) და სპეციალიზებული ანტიკორუფციული პროკურატურის (SAP) მნიშვნელოვან უფლებამოსილებას პოლიტიკური ნიშნით დანიშნულ გენერალურ პროკურორს გადასცემს.**

ზელენსკის ერთ-ერთმა ყოფილმა მინისტრმა აშშ-ის დამოკიდებულებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ „ზელენსკიმ იცის, აშშ მასზე ზემოქმედებას არ მოახდენს". სააგენტოების გაუქმების გადაწყვეტილება გამოწვეული იყო „გაცნობიერებით, რომ NABU გააგრძელებდა მოკვლევას მმართველი წრეების სხვა წევრებთანაც". ყოფილ ვიცეპრემიერ ალექსეი ჩერნიშოვის წინააღმდეგ NABU-ს გამოძიება ისეთი რამ აღმოჩნდა, რამაც ბევრი შეაშინა.

> **„ეს არის ქვეყნის შიგნით მკაცრი ზომების გატარების ლოგიკური კულმინაცია. ახალი ნარატივი მარტივია: ან ზელენსკისთან ხარ, ან რუსეთის აგენტი ხარ".**

ტრამპის ყოფილი მთავარი სტრატეგისა და პოდკასტის „ომის ოთახის" წამყვანის, სტივ ბენონის თქმით, ზელენსკის გადაწყვეტილება კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სააგენტოების მიზანში ამოღების შესახებ შესაძლოა ჭკვიანური იყო. **„მან იცის, რომ MAGA ზელენსკის მილიარდების მოპარვაში ადანაშაულებს. მისთვის უმჯობესია, მერჯორი ტეილორ გრინი და „ომის ოთახი" უკრაინულ კორუფციაზე წუწუნებდნენ, ვიდრე იქ რეალურად ჰყავდეს ხალხი, რომელსაც ის ვერ აკონტროლებს"**, – განუცხადა მან POLITICO-ს.

ზელენსკიმ საზოგადოებისა და ევროკავშირის ზემოქმედების ზრდასთან ერთად, ოთხშაბათს საღამოს დათმობაზე წასვლა შესთავაზა ხალხს და თავის ჩვეულ საღამოს მიმართვაში განაცხადა, რომ საპროტესტო აქციების მოთხოვნებზე რეაგირებით ახალ კანონმდებლობას წარადგენდა, რაც უზრუნველყოფს „ანტიკორუფციული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის ყველა ნორმის შენარჩუნებას".

კონკრეტულად რას გულისხმობს ის, გაურკვეველია და შესაბამისად საზოგადოების აღშფოთება მისმა გამოსვლამ ვერ ჩაახშო.

ეს ორი სააგენტო 2015 წელს ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის აშშ-ის მაშინდელ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის დაჟინებული მოთხოვნით შეიქმნა. ვაშინგტონსა და ბრიუსელს სურდათ, რომ უკრაინას გულწრფელად ებრძოლა ღრმად ფესვგადგმული და ენდემური კორუფციის წინააღმდეგ და სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ მთავრობისგან დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ორგანოების შექმნას, რომლებიც საკმარისად ძლიერი იქნებოდა მაღალი თანამდებობისა და პოლიტიკური კავშირების მქონე პირების მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოსაძიებლად.

მაგრამ კანონი N12414, რომელსაც ზელენსკიმ უმალვე მოაწერა ხელი მას შემდეგ, რაც ის თითქმის უპრეცედენტო სისწრაფით გადაეცა ვერხოვნა რადას, ახლა ართმევს როგორც NABU-ს, ასევე SAP-ს ამ დამოუკიდებლობას. ამის ნაცვლად, კანონი გენერალურ პროკურატურას ანიჭებს უფლებამოსილებას, გასცეს ბრძანებები ამ სააგენტოებისთვის და გადასცეს საქმეები მისსავე დანიშნულ პროკურორს, რაც ფაქტობრივად არღვევს გარანტიებს, რომლებიც იცავს ამ ორგანოებს არასათანადო პოლიტიკური ჩარევისგან.

სამშაბათს საღამოს თავის მიმართვაში ზელენსკიმ უკრაინელები დაარწმუნა, რომ მას არ ჰქონდა განზრახული არცერთი უწყების მუშაობის ძირის გამოთხრა და მიანიშნა, რომ ცვლილებები საჭირო იყო ამ ორგანოების რუსული გავლენისგან დასაცავად. **„ანტიკორუფციული ინფრასტრუქტურა იმუშავებს მხოლოდ რუსული გავლენის გარეშე – ის ამისგან უნდა გაიწმინდოს"**, – განაცხადა **ზელენსკიმ.**

თუმცა, არც მას და არც მის გავლენიან ადმინისტრაციის უფროსს ანდრეი ერმაკს, რომელიც თანაპრეზიდენტის ფუნქციას ასრულებს, არ დაუკონკრეტებიათ, თუ როგორ შეიძლება მოსკოვმა გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ სააგენტოზე.

პროევროპული პარტია „ჰოლოსის" ოპოზიციონერმა კანონმდებელმა **ლესია ვასილენკომ,** ანტიკორუფციული სტრუქტურის დაშლას **„ცუდი და არასწორი გადაწყვეტილება"** უწოდა. POLITICO-სთან საუბრისას მან თქვა: **„მე ძალიან ვამაყობ უკრაინელებით, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ, რათა დაეცვათ ის, რაც სწორია და ისეთი უკრაინა, როგორიც ხალხს ნამდვილად სურს". თუმცა, მან ასევე გააფრთხილა საზოგადოება, რომ „ჩვენ ძალიან რთულ დროში ვართ. ყველაზე ნაკლებად რაც გვჭირდება, არის რევოლუცია ომის შუაგულში".**

რა თქმა უნდა, NABU-სა და SAP-ის წარმომადგენლები კანონ N12414-ს თავიანთი საქმიანობისთვის საფრთხედ მიიჩნევენ. **„ფაქტობრივად, ანტიკორუფციული სტრუქტურა პარლამენტის 263 წევრის ხმებით დაშალეს"**, - განაცხადა NABU-ს ხელმძღვანელმა **სემენ კრივონოსმა** მთავარ ანტიკორუფციულ პროკურორ ალექსანდრ კლიმენკოსთან ერთად გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. **„ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტი – NABU და SAP, ფაქტობრივად, სრულად დამოკიდებულნი იყვნენ"** (ადგილობრივი მედიის ცნობით, ახალი კანონის მხარდამჭერ კანონმდებლებს შორის 18 ექვმიტანილია NABU-ს გამოძიებებში).

ზელენსკის მტკიცებების მიუხედავად, ეს ევროკავშირის ოფიციალური პირებისა და დიპლომატების მოსაზრებაცაა. თვეების განმავლობაში ისინი მწვავედ აკრიტიკებდნენ უკრაინის პრეზიდენტს, თუმცა ყოველთვის პირად საუბრებში, მისი ანტიდემოკრატიული ქმედებების გამო. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ იმ წმენდითა და გადაადგილებებით, რამაც გამოიწვია უფრო დამოუკიდებელი აზროვნების მქონე მინისტრებისა და თანამდებობის პირთა წასვლა მთავრობიდან, როგორიცაა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება და უკრაინის ეროვნული ელექტროგადამცემი ქსელის ყოფილი ხელმძღვანელი ვოლოდიმირ კუდრიცკი.

**ეს უკანასკნელნი, არაკომფორტულად გრძნობდნენ თავს შეიარაღებული ძალების მეთაურის, გენერალ ვალერი ზალუჟნის გათავისუფლებით, რომელსაც პრეზიდენტთან უთანხმოება ჰქონდა როგორც ომის სტრატეგიასთან, ასევე ბრძოლაში კიდევ უფრო მეტი უკრაინელის მობილიზების აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ აუხსნელ გავლენაზე, რომელიც ერმაკს, როგორც ჩანს, ზელენსკის მიმართ აქვს. ევროკავშირის ოფიციალურმა პირებმა ასევე გამოთქვეს შიში, რომ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული მოღალატეებისა და რუსი კოლაბორაციონისტების ძებნა პოლიტიკურ ჯადოქრებზე ნადირობაში გადაიზარდა, რაც კრიტიკოსების გაჩუმებას ისახავდა მიზნად.**

მიუხედავად ამისა, აქამდე ეს შეშფოთება საიდუმლოდ ინახებოდა – ძირითადად, მოსკოვისთვის პროპაგანდისტული საჩუქრის მიცემის ან უკრაინის თავდაცვისადმი დასავლეთის მხარდაჭერის შეჩერების თავიდან ასაცილებლად. ახალი კანონის დამტკიცებამდე სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ პოსტში გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა **მარტა კოსმა** განაცხადა, რომ სიტუაცია უკრაინის გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებს დააზარალებს. **„დამოუკიდებელი ორგანოები, როგორებიცაა NABU და SAPO, აუცილებელია უკრაინის ევროკავშირისკენ მიმავალი გზის გასავლელად"**, – წერს ის. ამასობაში, კიევში დიდი შვიდეულის ქვეყნების ელჩებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, რომელშიც **„სერიოზული შეშფოთება"** გამოთქვეს.

ბრიუსელში სხვა მაღალჩინოსნებმაც გამოთქვეს თავიანთი უკმაყოფილება, მათ შორის ევროკომისიის პრეზიდენტმა **ურსულა ფონ დერ ლაიენმა,** რომელმაც ზელენსკისგან პასუხები მოითხოვა.

საინტერესოა, თუ რატომ გამოხატავენ ევროკავშირის ოფიციალური პირები საჯაროდ ასეთ შეშფოთებას ძალაუფლების ამ მონოპოლიზაციაზე? ნაწილობრივ ეს იმიტომ ხდება, რომ ანტიკორუფციული სააგენტოების შესახებ ნაბიჯი ყველასათვის აშკარა იყო. საჯარო ჩანაწერებისა და ანტიკორუფციულ ორგანოებში მომუშავე პირების თქმით, რომლებიც POLITICO-ს ანონიმურობის პირობით ესაუბრნენ, ამბობენ, რომ NABU-მ გამოძიება დაიწყო პრეზიდენტის ოფისის წევრებსა და მინისტრების ქმედებებზე. ამას ემატება ის, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ანტიკორუფციული აქტივისტების, მაგალითად, ვიტალი შაბუნინის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტიკორუფციული მოქმედების ცენტრის" ხელმძღვანელის, დევნა დაიწყო.

შაბუნინმა სოციალურ ქსელში დაწერა: **„ზელენსკის გენერალური პროკურორი (კანონის ამოქმედების შემდეგ) შეწყვეტს გამოძიებას პრეზიდენტის ყველა მეგობრის წინააღმდეგ".**

**საზოგადოების მწვავე რეაქციამ, სავარაუდოდ, ევროკავშირის ყურადღებაც მიიპყრო. ინგლისურენოვანმა მედიასაშუალება „კიევ ინდიპენდენტმა", მკვეთრად კრიტიკული სარედაქციო სტატია გამოაქვეყნა შემდეგი სათაურით: „ზელენსკიმ უბრალოდ უღალატა უკრაინის დემოკრატიას – და ყველას, ვინც მისთვის იბრძვის".**

ოპოზიციონერი კანონმდებელი **მიკოლა კნიაჟიცკიც** ეთანხმება, რომ სააგენტოების დაშლის მიზეზი პრეზიდენტთან დაახლოებული პირების გამოძიება იყო. **„NABU-მ რამდენიმე უკიდურესად გავლენიანი ადამიანის წინააღმდეგ ბრალდების წაყენება დაიწყო და ხელისუფლებას სასწრაფოდ სჭირდებოდა საკუთარი თავის დაცვა"**, – განუცხადა **კნიაჟიცკიმ** POLITICO-ს.

ის ასევე ეჭვობს, რომ ზელენსკიმ და ერმაკმა იგრძნეს ? მათ შეეძლოთ სააგენტოების დამოუკიდებლობის შეზღუდვა და სასჯელის თავიდან აცილება. **„მათ მიაჩნიათ, რომ არც ევროკავშირი და არც აშშ არ გამოიჩენენ იმდენ ინტერესს ანტიკორუფციული ორგანოების საქმიანობის მიმართ, როგორც ადრე, რადგან ისინი კვლავ იძულებულნი იქნებიან მხარი დაუჭირონ უკრაინას"**, – თქვა **კნიაჟიცკიმ.**

> **საინტერესოა, თუ რატომ გამოხატავენ ევროკავშირის ოფიციალური პირები საჯაროდ ასეთ შეშფოთებას ძალაუფლების ამ მონოპოლიზაციაზე? ეს იმიტომ ხდება, რომ ანტიკორუფციული სააგენტოების შესახებ ნაბიჯი ყველასათვის აშკარა იყო. საჯარო ჩანაწერებისა და ანტიკორუფციულ ორგანოებში მომუშავე პირების თქმით, რომლებიც POLITICO-ს ანონიმურობის პირობით ესაუბრნენ, ამბობენ, რომ NABU-მ გამოძიება დაიწყო პრეზიდენტის ოფისის წევრებსა და მინისტრების ქმედებებზე**

**ბრიტანულ „დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „ტრამპმა პუტინისათვის დრო ისე გამოთვალა, რომ სანქციებით მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს“ (ავტორი – კონ კოფლინი). პუბლიკაციაში განხილულია აშშ-ის პრეზიდენტის მიერ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მეორადი სანქციების ათდღიანი ვადა და მოცემულია მათი სავარაუდო შედეგები.**

**გთავაზობთ სტატიას შემოკლებით:** The Daily Telegraph


Con Coughlin

Trump has timed his Putin deadline for maximum effect

Moscow has less than two weeks to agree to a ceasefire or face the consequences

Con Coughlin
Defence and Foreign Affairs Editor

Related Topics
Donald Trump, Vladimir Putin, Russia-Ukraine war, Tariffs, Russia

30 July 2025 5:16pm BST

247

Gift this article free

# „ტრამპმა პუტინისათვის დრო ისე გამოთვალა, რომ სანქციებით მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს“

**დონალდ ტრამპმა, ალბათ, ყველაზე საუკეთესო და შესაფერისი დრო შეარჩია თავისი მეორადი ეკონომიკური სანქციების ახალი ვადის გამოცხადებისათვის, რომ რუსეთს ნავთობისა და გაზის გაყიდვით მიღებული შემოსავლები შეუმცირდეს და უკრაინაში ომი შეწყვიტოს.**

დონალდ ტრამპს სამჯერ ეგონა, რომ ვლადიმერ პუტინი სამშვიდობო მოლაპარაკების აუცილებლობაში დაარწმუნა, მაგრამ სამჯერვე, როგორც კი სატელეფონო საუბარი მთავრდებოდა, რუსეთის არმია უკრაინული ქალაქების დასაბომბად რაკეტებსა და დრონებს უშვებდა.

აშშ-ის პრეზიდენტის მხრიდან იმის დაგვიანებული აღიარება, რომ **„პუტინი მას თურმე ათამაშებდა და ომის გასაგრძელებლად დროს იგებდა“**, იმას ნიშნავს, რომ როგორც იქნა, **„ტრამპი აზოზოქრდა“** და თავის რუს კოლეგას ათდღიანი ვადა დაუწესა ცეცხლის შესაწყვეტად. თუ კრემლი თეთრი სახლის მოთხოვნას არ დაეთანხმება, ძალაში შევა ახალი მომატებული საბაჟო ტარიფები იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც რუსეთისაგან ნავთობს ყიდულობენ. სანქციის მიზანი და განხორციელების პროცედურა ასეთია:

**აშშ რუსული იაფი ნავთობისა და გაზის მოყვარული ქვეყნების – ინდოეთის, ჩინეთის (და ალბათ, თურქეთის და სხვების) მიერ წარმოებულ იმპორტირებულ პროდუქციაზე მომატებულ საბაჟო ტარიფებს დააწესებს. მათი ფასი იმდენად გაძვირდება, რომ ამერიკაში მყიდველი აღარ ეყოლება, ანუ ინდური და ჩინური კომპანიები დაზარალდებიან. ზარალის თავიდან ასაცილებლად იგივე ქვეყნები იძულებულნი გახდებიან, რომ რუსეთისაგან ნავთობისა და გაზის შესყიდვა შეწყვიტონ, რის შედეგადაც რუსეთს შემოსავლები შეუმცირდება, ანუ კრემლს აღარ ექნება თანხები უკრაინასთან ომის გასაგრძელებლად. რუსეთი ცეცხლს შეწყვეტს და სამშვიდობო მოლაპარაკებაზე დათანხმდება.**

კონგრესში ზოგიერთი დეპუტატი უფრო რადიკალურად არის განწყობილი, რომლებიც 500%-იან სანქციების დაწესებას მოითხოვენ.

**უეჭველია, რომ დონალდ ტრამპი სერიოზულად არის განწყობილი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მან იძულებული გახადა იაპონია და ევროკავშირი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებისას აშშ-ის მოთხოვნებზე დათანხმებულიყვნენ, განა თეთრი სახლი კრემლის წინაშე უკან დაიხევს?**

როგორც კი ინდოეთი და ჩინეთი მტკივნეულ დარტყმას იგრძნობენ ამერიკასაგან, ისინი იძულებულნი გახდებიან რუსეთისაგან ნავთობგაზის შესყიდვა შეამცირონ (ან საერთოდ შეწყვიტონ). ამით დაინგრევა ვლადიმერ პუტინის გენერალური გეგმა რუსეთის იმპერიული ძლიერების აღდგენის შესახებ.

რუსეთი უკრაინის ფრონტზე წარუმატებლობას განიცდის. მართალია, კრემლმა დრონებითა და რაკეტებით უკრაინული ქალაქების დაბომბვა გააძლიერა, მაგრამ ფაქტია, რომ მაისში დაწყებულ შეტევას რუსეთის არმიისათვის რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუტანია. ვლადიმერ პუტინი ბოლო დროს მუდმივად ცდილობს რომელიმე მსხვილი უკრაინული ქალაქის დაპყრობას, მაგრამ უშედეგოდ – პოკროვსკს და კონსტანტინოვკას ისევ უკრაინელები აკონტროლებენ. უკრაინელები მამაცურად იბრძვიან, რუსები უამრავ ჯარისკაცს კარგავს – კრემლის ზარალმა უკვე მილიონს მიაღწია დაღუპულებისა და დაჭრილების სახით. ეს ნიშნავს ყოველდღიურად 1080 რუსი მებრძოლის დაღუპვა-დასახიჩრებას.

ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთი ათასკილომეტრიან ფრონტის ხაზზე რაიმე წარმატებას მიაღწევს მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპი უკრაინას მეტ იარაღს მიაწვდის. უკრაინელებს თუ იარაღი საკმარისი რაოდენობით ექნებათ, ისინი რუსებს უკან დაახევინებენ და საეჭვოა, პუტინმა ის ტერიტორია შეინარჩუნოს, რაც ბოლო დროს დაიპყრო. კრემლს ირანის იმედიც აღარ ექნება, რადგან თეირანი მნიშვნელოვნად არის დასუსტებული ისრაელთან (და აშშ-სთან) ამასწინანდელი საჰაერო შეტაკების გამო.

**არის იმის ნიშნებიც, რომ თვითონ ვლადიმერ პუტინს მისსავე გარემოცვაში ბევრი არ ეთანხმება, რასაც მოსკოვში მიმდინარე საკადრო წმენდა მოწმობს. ზოგიერთი მაღალჩინოსანი ჩინოვნიკი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს, ცნობილი ოლიგარქები კი ქვეყნიდან გაქცევის დროს იქნენ დაკავებულები. ზოგიერთი მაღალჩინოსანი ოფიცერი, რომლებსაც ყოფილ თავდაცვის მინისტრთან სერგეი შოიგუსთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, დაპატიმრებულები იქნენ კორუფციის ბრალდებით.**

იმ სიძნელეების მასშტაბს, რასაც ვლადიმერ პუტინი შეეჯახა ომის გამო, მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი იძულებული გახდა გასულ კვირას ყოველწლიური სამხედრო-საზღვაო აღლუმის ჩატარება გაეუქმებინა – უკრაინაში განცდილი დიდი დანაკარგების გამო.

**ამრიგად, დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება ვადების შემცირების თაობაზე დროულია – ის იმ დროს იქნა მიღებული, როცა ვლადიმერ პუტინს, ყოყოჩობის მიუხედავად, ე.წ. „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ გაგრძელების ვარიანტები უმთავრდება. თუ რუსეთის პრეზიდენტი გამოფხიზლდება და მიხვდება, რომ მას უკრაინაში ომის მოგების შანსი არ აქვს, მას სხვა არჩევანი არ ექნება იმის გარდა, რომ დონალდ ტრამპის მოთხოვნას დათანხმდეს – ცეცხლი შეწყვიტოს და სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყოს.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

---

დავით ქართველიშვილი:
## გერმანიაში დიდი პომპეზურობით ჩატარდა ლგბტ+თემის პრაიდი!..

პარტია „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი გერმანიაში გამართულ პრაიდსა და 2025 წლის საახალწლო კონცერტის გაუქმებას სოციალურ ქსელში ეხმიანება.

**„თუ ლგბტ-თემის წარმომადგენლებისთვის დაფინანსებაც მოიძებნა და კონცერტიც ჩატარდა, პატარა ბერლინელებს შობა – ახალი წელი ლგბტ+„გრინჩმა“ მოჰპარა“** – წერს ანალიტიკოსი და აღნიშნავს, რომ გერმანიის ხელისუფლებამ უარი განაცხადა საახალწლო კონცერტის დაფინანსებაზე.



**„2025 წლის 26 ივლისს გერმანიაში დიდი პომპეზურობით ჩატარდა ლგბტ-თემის პრაიდი, დევიზით „Never silent again!“ („აღარასდროს გავჩუმდებით!“), რაც ასახავს ქვეყანაში მზარდ შეშფოთებას დისკრიმინაციისა და ანტი-ლგბტ თავდასხმების მატების გამო.**

**პრაიდი დაიწყო 12:00 საათზე ლეიფციგ შტრასეზე და დასრულდა ბრანდენბურგის კარიბჭესთან, სადაც 16:00 საათზე გაიმართა დასკვნითი სიტყვით გამოსვლები და კონცერტი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 500,000 ადამიანმა, ხოლო ოფიციალური წყაროების თანახმად – ქვეყნის მასშტაბით, ეს რიცხვი თითქმის მილიონს მიუახლოვდა. სამაგიეროდ, წელს, ბერლინში, იმავე ბრანდენბურგის კარიბჭესთან, ახალი წლის შოუ დაფინანსების არარსებობის გამო არ ჩატარდება. თუ ლგბტ+თემის წარმომადგენლებისთვის დაფინანსებაც მოიძებნა და კონცერტიც ჩატარდა, პატარა ბერლინელებს შობა – ახალი წელი ლგბტ+“გრინჩმა“ მოჰპარა. ბრანდენბურგის კარიბჭესთან ახალი წლის შოუს ორგანიზატორმა (Berlin feiert Silvester GmbH (BfS)) ღონისძიების გაუქმების შესახებ უკვე ოფიციალურად განაცხადა.**

**ასევე ცნობილი გახდა, რომ ბერლინის ხელისუფლებაც შოუსთვის დაფინანსებას არ გამოყოფს – რა დროს ახალი წელია, როდესაც უკრაინაში ომია. ხოლო პრაიდი – ეს ხომ „სულ სხვა ტაშია“.**

---

## პირველი ქალი, ლგბტქ+ თემის წარმომადგენელი არქიეპისკოპოსად აირჩიეს



**დიდმა ბრიტანეთმა უელსის ეკლესიაში პირველი ქალი და ლგბტქ+ თემის წარმომადგენელი არქიეპისკოპოსი, 66 წლის რევერენდი ჩერი ვანი აირჩია,** – ინფორმაციას The Guardian-ი ავრცელებს.

გამოცემის მტკიცებით, **ვანი** ასევე არის „ღია მაგიდის ქსელის“ მფარველი, ქრისტიანული საქველმოქმედო ორგანიზაციისა, რომელიც მხარს უჭერს „ლგბტქ+ ადამიანებისა და მათი მოკავშირეების ინკლუზიურ საეკლესიო თემებს“.

**ვანი დიდი ბრიტანეთის პირველ ქალ მთავარეპისკოპოსად და უელსის ეკლესიაში პირველ ლგბტქ+ ლიდერად აირჩიეს. მონმუთის ყოფილი ეპისკოპოსი ვანი საარჩევნო კოლეგიის სხდომის შემდეგ აირჩიეს, რომელიც ენდი ჯონის გადადგომის შემდეგ, სკანდალების ფონზე გაიმართა. ვანი, რომელსაც მუსიკალური განათლება აქვს და მღვდლად 1994 წელს აკურთხეს, ხუთი კანდიდატიდან შეირჩა. ინგლისის ეკლესიაში ბევრი მის დანიშვნას მოდერნიზაციისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევს, გენდერისა და სექსუალობის შესახებ მრავალწლიანი დავის შემდეგ.**

### ზურაბ მამულაშვილი:

# ახალი ლექსები



## სიცოცხლე

სიცოცხლე ისე მოკლეა,
არასდროს არა კმარაო,
თითქოსდა ვიყოთ უკვდავნი,
ვიძახით, ჩქარა-ჩქარაო.

არავინ იცის, ხვალ და ზეგ
ვინ რომელი გზით წავაო,
ზოგი კიბიდან ჩამოვა,
ზოგიც პირველად ავაო.

ღვთის მოსახდენიც მოხდება
დღეს იქნება თუ ხვალაო,
ცხოვრება შეუცნობელი
მაინც თავის გზით წავაო...

## მამულის მცველი

ციხე ვარ აუღებელი,
გაუტეხელი სიტყვა,
სუფთა, ვით პურის ზეღელი,
ფქვილივით მუდამ წმინდა.

მოსავლიანი მიწა ვარ,
ციდან მოსული ნამი,
მტერმაც კი ვერ შემიცვალა,
თავისუფლების წამი.

გუმბათზე მდგარი ჯვარი ვარ,
სამრეკლოს ზარის ექო,
ამოღებული ხმალი ვარ,
ერთი ასს უნდა ვეყო.

ვარ უკვდავების წყალი და
იმედი ყველა კაცის,
სული ვარ დაუდგრომელი
მირონმდინარი ხატის.

უფლის ბილიკით დავდივარ,
არ შემიცვლია გზები,
ბოლოს და ბოლოს, კაცი ვარ,
ჩემი მამულის მცველი!

## ხმით ნატირალი

ნიკო ლორთქიფანიძის მოტივებზე

იყიდება ყველაფერი,
ყველაფერი ქართული,
„დრელი“, ცელი, ალმასები,
თუნუქი და მავთული.
სახლები და სარდაფები,
ზღვები, მთები, მიწები,
საქართველოვ, შენი ცოდვით
ზეზეულად ვიწვები.
იყიდება ნავთობი და
ხე-ტყე, გაზი, ნახშირი,
რომ ვერ გშველი, საქართველოვ,
ნერვები მაქვს აშლილი.
იყიდება ოფისები,
თეატრები, ბარები,
სასტუმრო და რესტორნები,
ბაღები და ქარხნები.
იყიდება ერის განძი,
სინდისი და ნამუსი,
დღესაც ისევ თავზე გვაზის
ხან თურქი და ხან რუსი.
იყიდება ეროვნება,
რელიგია, ბავშვები,
ერთი კაციც კი არა ჩანს
ამ ყველაფრის დამშლელი.
იყიდება დღისით, მზისით,
შენ თვალწინ და ჩემ თვალწინ,
ეს რომ ადრე მომხდარიყო,
მთელ ქვეყანას შევძრავდით,
ახლა კი რა გვემართება
თავისუფალ მხარეში?!
ნუთუ სისხლი აღარ გვიდუღს
ჩვენ, ვაჟკაცურ ძარღვებში?
დროა, ხმა რომ ავიმაღლოთ,
ხალხო, რატომ ვჩერდებით?
მოკლე ხანში ვერც გავიგებთ,
ისე გადავშენდებით.

# სოლო კონცერტი ომარ კელაპტრიშვილის კულტურის ცენტრში

**ომარ კელაპტრიშვილის კულტურის ცენტრში, ცენტრთან არსებულმა მუსიკალურმა ბენდმა „Old Strings-ძველი სიმები” სადებიუტო სოლო კონცერტი გამართა. „Old Strings-ძველი სიმები” ორი წლის წინ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და მხარდაჭერით ჩამოყალიბდა.**

ბენდის წევრებმა თავდაუზოგავი შრომის ფასად მალევე შეძლეს საკუთარი შემოქმედებით მაყურებლის წინაშე გამოსვლა და მათი მხარდაჭერის მოპოვება.

პროფესიონალი მუსიკოსები ცდილობენ, სიმღერები მაყურებლის გემოვნებას მოარგონ.

**ბენდის შემადგენლობა ასეთია: კლავიში – კობა კრიჭაშვილი, გიტარა – ჯაბა ნონიაშვილი, ბას გიტარა – გია ყაზარაშვილი, დრამი – მიხეილ ქოსაშვილი, ვოკალი და სინთეზი – ხატია მამულაშვილი.**

სადებიუტო სოლო კონცერტს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. კასპის მუნიციპალიტეტის მერია ბენდს – „Old Strings-Zveli simebi” – ულოცავს პირველ სოლო კონცერტს და წარმატებებს უსურვებს.



# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2025 წლის 29 ივლისის საერთო კრებაზე აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) არჩეულ იქნენ:**

| | |
|---|---|
| 1. ახალბედაშვილი ივერი | ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება<br>სპეციალობა - ეკონომიკა |
| 2. ბარვენაშვილი მარინე | მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება<br>სპეციალობა - მეცხოველეობა |

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანასტასია ივანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. N9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა N15

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა N15 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.024.031 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16482.13 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 1 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 13 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP111858425;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1118584

6. **მოვალე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. N9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა N15
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP111858425; ლოტის ნომერი: 1118584).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 აგვისტოს 12:00 საათამდე.

# გაჩნდა ყველაზე „ასაკოვანი“ ბავშვი

**აშშ-ში, ტენესის შტატში გაჩნდა ბავშვი, რომლის ემბრიონიც 30 წლის წინ – 1994 წელს გაყინეს. ბიოლოგიური მასალა ეკუთვნოდა ქალს სახელად ლინდა არჩერდი. 90-იან წლებში მან ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა გაიარა, რის შედეგადაც სპეციალისტებმა 4 ემბრიონი მიიღეს. ერთ-ერთი ქალს ჩაუნერგეს, დანარჩენი 3 კი დაკონსერვდა. არჩერდი მათი შენახვის საფასურს – წელიწადში დაახლოებით 1000 დოლარს თითქმის 30 წელი იხდიდა.**

შემდეგ კი ქალმა, რომლის ასაკიც დღეს 60 წელს აჭარბებს, ემბრიონების სხვებისთვის გადაცემა გადაწყვიტა. კლინიკების უმეტესობა მის შეთავაზებაზე უარს აცხადებდა, რადგან ემბრიონები ძველი ტექნოლოგიებით იყო გაყინული, რომლებსაც დღეს პრაქტიკულად აღარ იყენებენ. საბოლოოდ, ემბრიონი ლინდსი და ტიმ პირსების ოჯახში მოხვდა – წყვილის, რომელიც 7 წელია ცდილობდა ბავშვის გაჩენას, თუმცა უშედეგოდ. მათ მიმართეს პროგრამას Open Hearts, რომელიც წყვილებს გაყინული ემბრიონების შვილად აყვანაში ეხმარება.

წყვილის ოჯახში გაჩენილ ბიჭს მსოფლიოში ყველაზე ასაკოვან ბავშვს ეძახიან. ლინდა არჩერდმა კი განაცხადა, რომ ახალშობილის პირადად გაცნობას არ აპირებს, თუმცა აღნიშნა, რომ მისი დაბადება „ახდენილი ოცნებაა“.



# მუნდიალზეც — ჯიკიჩით

**საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ალექსანდარ ჯიკიჩს კონტრაქტი 2 წლით გაუხანგრძლივდა. უფრო კონკრეტულად, განახლებული ხელშეკრულებით სერბი სპეციალისტი საქართველოს ეროვნულ გუნდს 2027 წლის 30 სექტემბრამდე გაწვრთნის.**

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ, რომელმაც 2024 წლის დასაწყისში ჯიკიჩს კონტრაქტი გაუფორმა, მასთან თანამშრომლობის გახანგრძლივების გადაწყვეტილება მიიღო.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების ამოსავალი წერტილი ევრობასკეტის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატებული ასპარეზობა გახლდათ. ალექსანდარ ჯიკიჩის ხელმძღვანელობით ჩვენმა ნაკრებმა კონტინენტის პირველობის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა და ეს მთლიანობაში ზედიზედ მეექვსედ მოახერხა. წინა ხელშეკრულებით, სერბ სპეციალისტს ევრობასკეტზე გასვლის შემთხვევაში კონტრაქტი ევროტურნირის დასრულებამდე ჰქონდა და გადაწყდა, მასთან თანამშრომლობა მომდევნო ციკლზეც გაგრძელებულიყო.

შესაბამისად, საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს 2027 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყება, კვლავ ალექსანდარ ჯიკიჩი უხელმძღვანელებს. მსოფლიოს საკვალიფიკაციო რაუნდი 2027 წლის თებერვლამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც, 2027 წლის აგვისტო-სექტემბერში, ფინალური ეტაპი კატარის დედაქალაქ დოჰაში გაიმართება. მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შემთხვევაში, ჩვენს ნაკრებს სწორედ ჯიკიჩი უხელმძღვანელებს.

შეგახსენებთ ჯიკიჩის სამწვრთნელო კარიერას, რომელიც მან 1991 წელს, 20 წლის ასაკში დაიწყო, ხოლო 1994 წლიდან ის პროფესიონალი მწვრთნელია. ბელგრადის პარტიზანში მთავარი მწვრთნელების **(ნენად ტრაიკოვიჩი, დარკო რუსო, დუშკო ვუიოსევიჩი)** ასისტენტად 6-წლიანი მუშაობის შემდეგ, 2005 წელს, ალექსანდარ ჯიკიჩი ნბაში გადავიდა და მინესოტა ტიმბერვულვზში **დუეინ კეისის** ასისტენტი გახდა. ჯიკიჩი გახდა მეორე ევროპელი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვის** შემდეგ, რომელმაც ნბა-ს მთავარი მწვრთნელის ასისტენტის პოზიცია დაიკავა.

მინესოტაში 3-წლიანი მუშაობის შემდეგ, 2008 წელს, ჯიკიჩი ევროპაში დაბრუნდა და ლიუბლიანის ოლიმპიას მთავარი მწვრთნელი გახდა. მან სლოვენიის ჩემპიონობა ზედიზედ 4-ჯერ მოიგო – ორჯერ ოლიმპიაში, ხოლო შემდეგ კიდევ ორჯერ – ნოვო მესტოს კრკა-ში. ჯიკიჩის გაწვრთნილი გუნდები სხვადასხვა წლებში გამხდარან ადრიატიკის ლიგისა და მონტენეგროს ჩემპიონატის გამარჯვებულები, სლოვენიისა და ისრაელის თასის მფლობელები, ხოლო 2011 წელს მისმა გაწვრთნილმა კრკა-მ ფიბას ევროჩელენჯის თასი მოიგო. 2022-2023 წლების სეზონში ჯიკიჩის წინამძღოლობით ჰაპოელმა ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა, სადაც გერმანულ ტელეკომთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა.

სერბი სპეციალისტი სხვადასხვა წლებში წვრთნიდა ლიეტუვოს რიტასს (ლიეტუვა), პარტიზანს (სერბეთი), ბუდუჩნოსტს (მონტენეგრო), ესტუდიანტესს (ესპანეთი) და ჰაპოელს (ისრაელი). სანაკრებო დონეზე ჯიკიჩს ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრები (2014-2015) გაუწვრთნია, ხოლო 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე სერბეთის 20-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო.



# ვერცხლით მეოთხეს

**ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველომ სამი მედალი მოიპოვა – ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო. გარდა ამისა, კიდევ არსებობს ერთი ბრინჯაოს შანსი.**

**ერეკლე თავბერიძემ** (65 კგ) დოსბოლ შამილი (5:3), მოლდოველი მაქსიმ დამაშინი (6:1), ტაჯიკი შოჰიჯაჰონ ბობოევი (7:0) და ინდოელი ანუი ანუი (9:1) დაამარცხა, მაგრამ ფინალში სომეხ იანეს ნაზარიანთან დაძაბულ ბრძოლაში 4:5 დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

ფინალამდე 80 კგ წონით კატეგორიაში უნაკლოდ მივიდა **ლუკა მარტიაშვილი,** რომელმაც ხორვატი დავიდ ვილკი (9:0), უკრაინელი ნესტორ ბარანი (7:5), აზერბაიჯანელი ნიჯატ იეილაგალიევი (3:2) და თურქი ისმაილ ბერეკეტი (2:1) დაამარცხა, მაგრამ ფინალში უზბეკ აბდულაზიზ ხოლმირზაევთან 7:14 წააგო.

110 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **თემურ სიმსივემ**, რომელმაც ნახევარფინალში წააგო, მაგრამ მედლისთვის შეხვედრაში გამარჯვება მოახერხა. ბრინჯაოს მედლისთვის რეპეშაჟიდან იბრძოლებს **ლაზარე გოგოტიშვილი** (60 კგ), რომელიც ხორვატ როკო ჩურიჩს შეხვდება.

# მეტოქე ანგლობს



**UFC-ის სუპერმსუბუქი დივიზიონის მებრძოლმა კორი სენდჰეგენმა მერაბ დვალიშვილთან გასამართავ ორთაბრძოლაზე კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ არ აპირებს იმის დაჯერებას, რომ მერაბი დაუმარცხებელი მებრძოლი და კარდიომანქანაა.**

**„არ მაინტერესებს არავის მოსაზრება და არ ვაპირებ იმის დაჯერებას, რომ მერაბ დვალიშვილი დაუმარცხებელია და ამავდროულად კარდიომანქანაა. მე ამ ბრძოლისთვის ჩემი გეგმები მაქვს, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ოქტაგონზე გავიდე, მერაბი ვცემო და შემდეგ საჩემპიონო ქამარი მოვირგო“,** – განაცხადა სენდჰეგენმა.

შეგახსენებთ, რომ მერაბ დვალიშვილისა და კორი სენდჰეგენის ბრძოლა 5 ოქტომბერს UFC 320-ზე გაიმართება. მათი დაპირისპირება ღონისძიების თანამთავარი მოვლენა იქნება, ხოლო მთავარი ბრძოლა ქვემძიმე წონის საჩემპიონო რემატჩი იქნება, სადაც მაგომედ ანკალაევი ალექს პერეირას შეხვდება.

# საფეხბურთო მოზაიკა



**„ლიონმა“** ამხანაგურ მატჩში ესპანური „მალიორკა“ 4:0 გაანადგურა, და **გიორგი მიქაუტაძემ** გოლი გაიტანა.

ქართველმა ფეხბურთელმა მე-19 წუთზე დალაშქრა მეტოქის კარი და ანგარიში 2:0 გახადა. ჟორჟმა ძალიან ტექნიკურად ითამაშა საჯარიმოში და ზუსტად დაარტყა. ის მოედანზე 72-ე წუთამდე იყო. მიქაუტაძემ პრესეზონზე უკვე მეორედ გამოიჩინა თავი – მანამდე „ჰამბურგს“ გაუტანა. „ლიონი“ პრესეზონზე 2 აგვისტოს „ბაიერნს“ და 9 აგვისტოს „ხეტაფეს“ ეთამაშება, ხოლო 16 აგვისტოს, ლიგა 1-ის პირველ ტურში „ლანსს“ ესტუმრება.

* * *

**„ბაიერნის“ მეკარე მანუელ ნოიერი შესაძლოა გერმანიის ნაკრებში დაბრუნდეს „ბარსელონაში“ ეროვნული ნაკრების ამჟამინდელი პირველი ნომრის, მარკ-ანდრე ტერ შტეგენის გარშემო შექმნილი პრობლემური სიტუაციის გამო,** – ამის შესახებ Bild-ის ჟურნალისტმა ტობი ალტშაფლმა განაცხადა.



წყაროს ცნობით, ნოიერი, რომელმაც ეროვნული ნაკრებიდან წასვლის შესახებ 2024 წლის აგვისტოში განაცხადა, დაბრუნების წინააღმდეგი არ არის, თუ ამას პირადად **იულიან ნაგელსმანი** მოითხოვს. აღნიშნულია, რომ 39 წლის მიუნხენელთა მეკარე დაბრუნებაზე ტერ შტეგენსა და კატალონიელებს შორის კონფლიქტის გამო ფიქრობს. გარდა ამისა, „ლურჯ-გრონეულისფერების“ კაპიტანმა ცოტა ხნის წინათ წელის ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც ის მინიმუმ სამი-ოთხი თვით გამოეთიშება აქტიურ თამაშს.

ნოიერი გერმანიის ნაკრებში 2009 წლიდან 2024 წლამდე თამაშობდა. მის ანგარიშზე 124 მატჩი და 118 გაშვებული გოლია და 51-ჯერ მან „მშრალად“ შეინახა კარი. 33 წლის ტერ შტეგენმა 2012 წლიდან მოყოლებული ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 44 მატჩი ჩაატარა რომლებშიც 54 გოლი გაუშვა და 13-ჯერ მშრალად შეინახა კარი. აღსანიშნავია, რომ კარიერის განმავლობაში მარკ-ანდრეს არასდროს უთამაშია მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონატის ძირითად ეტაპზე.

* * *



**„ლივერპულმა“ მოსამზადებელი პერიოდის ფარგლებში მორიგი ამხანაგური შეხვედრა გამართა, სადაც იაპონიაში ადგილობრივი „იოკოჰამა“ 3:1 დაამარცხა.**

პირველი ტაიმი უგოლოდ 0:0 დასრულდა, მეორე ნახევარი მასპინძლებმა კარგად დაიწყეს და ანგარიში 55-ე წუთზე გახსნეს. "ლივერპულმა" ანგარიში მალევე გაათანაბრა – თავი ახალწვეულმა ფლორიან ვირცმა გამოიჩინა. მეორე გოლი ფრიმპონგის პასით ახალგაზრდა ტრეი ნიონმა გაიტანა, ხოლო მატჩში საბოლოო ანგარიში 87-ე წუთზე რიო ნგუმოჰამ დააფიქსირა 3:1.

აღსანიშნავია, რომ **გიორგი მამარდაშვილმა** მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და სრულად ითამაშა, რა დროშიც ქართველმა ერთი კარგი სეივი შეასრულა, გაშვებულ გოლში კი მამარდაშვილის ბრალეულობა ყველაზე ნაკლები იყო.

**ცნობისთვის:** „ლივერპულმა“ აზიური ტურნე დაასრულა, სამშობლოში ბრუნდება და ახალი სეზონისთვის მზადებას ინგლისში გააგრძელებს. მომდევნო ამხანაგურ მატჩს მერსისაიდელები „ატლეტიკ ბილბაოსთან“ 4 აგვისტოს გამართავენ.

* * *

**აშშ-ის** პრეზიდენტის **დონალდ ტრამპის** ვაჟმა, **ერიკმა,** გაამხილა, თუ ვინ მიიწვია დონალდი პოდიუმზე 2025 წლის საკლუბო მსოფლიო თასის მოგების შემდეგ „ჩელსის“ დაჯილდოების დროს.

**„გამარჯვებულმა გუნდმა ის სცენაზე მიიწვია, რადგან თქვეს, რომ მათთვის ცხოვრებაში უდიდესი პატივი იქნებოდა აშშ-ის პრეზიდენტის მიერ საკლუბო მსოფლიო თასის გადაცემა.**

**სხვათა შორის, იქ ვიყავი, ყველაფერი ვნახე. სტადიონი აფეთქდა. და საერთოდ, არავინაა, ვინც სპორტისთვის მასზე მეტი გააკეთა“,** – ციტირებს ერიკ ტრამპის სიტყვებს Daily Mail.

2025 წლის საკლუბო მსოფლიო თასის ფინალში „ჩელსიმ“ პსჟ 3:0 დაამარცხა. ცერემონიაზე ტრამპმა საკლუბო მსოფლიო თასი ლონდონური კლუბის ფეხბურთელებს გადასცა.



# სულით ძლიერნი

## ილიაობა



**წინასწარმეტყველი ილია თეზბიტელი, ილია მართალი (ილიაობა), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ანგელოზის დღე.**

2 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ილია თეზბიტელის ხსენების დღეს.

...აიტაცა უფალმა ელია და დღესაც ხორციელად ცოცხალია! ელია თეზბიტელი იხილეს თაბორის მთაზე წმინდა მოციქულებმა წმინდა მოსესთან ერთად, უფლის ფერისცვალებისას.

...მორწმუნენი ილია თეზბიტელს იხილავენ ბოლო ჟამს, როცა იგი წმინდა ენუქთან ერთად მოევლინება ცოდვილ ქვეყანას. ამხილენ გამეფებულ ანტიქრისტეს, მისი ხელით შესვამენ სიკვდილის ფიალას. მესამე დღეს აღადგენს მათ უფალი მკვდრეთით. და, ცოტა ხანში თავად მოვა დიდებით და განიკითხავს ყოველ დაბადებულს. წმინდა ელიას ხალენი დაკრძალულია მცხეთას, სვეტიცხოვლის საკურთხეველში. ხალენის ფლობა გვავალებს რწმენის დამარხვას, ქადაგებას, უსჯულოების მხილებას.

* * *

**დიდი ქართველი მოღვაწე, საქართველოს „უგვირგვინო მეფე". „ერის მამა", წმინდა ილია მართალი ზრუნავდა ენის სიწმინდისთვის, იბრძოდა ენის უფლებების დასაცავად.**

ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში წმინდა ილია მართალმა განაცხადა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან – მამული, ენა, სარწმუნოება" – დიდი





ილია უშიშრად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის. მან შესანიშნავ ტრადიციას – თეზბიტელობას ჩაუყარა საფუძველი.

* * *

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ვულოცავთ ანგელოზის დღეს ბატონ რეზო ამაშუკელის ლექსით – „სისხლხორცო ჩემო".**

– ო, თითქოს გუშინ წინამურთან
დახვდნენ ილიას!
– გვყავს ჭყონდიდელი,
დღესდღეობით,
მაგრამ დავითი?
დავითი არ გვყავს –
– და მამულიც ხელგაწვდილია!
...ვინ ცრემლს აგროვებს,
ვინ – მარგალიტს
და ვინ – ბრილიანტს!
გათენდება და
მადლი მაინც გადმოვა ციდან!
ვდიოთ მაცხოვარს, რუდუნებით
– ერთს ხატზე წერილს,
მეორეს კი...
ჩვენს ცოცხალ წმინდანს!"

დაე, სულით ძლიერებმა დალოცონ ჩვენი საქართველო.

**გიული ლიპარტია**



**სანთელი**

**მამიდაშვილები, მამიდაშვილის შვილები, ბიძაშვილის შვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**ნანა წერეთლის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# ბრალდებულმა შურისძიების მიზნით, დანით სამი პირი დაჭრა, ერთი გარდაიცვალა!..

**საქართველოს პროკურატურამ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის ფაქტზე ერთი პირს ბრალდება წარუდგინა,** – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 27 ივლისს ქუთაისში, ბრალდებულმა შურისძიების მიზნით, დანით სამ პირს სხეულის სხვადასხვა არეში დაზიანებები მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად ერთი დაზარალებული გარდაიცვალა, მეორე ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით საავადმყოფოში იმყოფება, ხოლო მესამე სიკვდილს გადაურჩა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან მალევე დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის „ლ" ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ), წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდა.

# ათ წლამდე პატიმრობა გოგონას მოტაცებისთვის

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ბოლნისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ბ.ი. და 1995 წელს დაბადებული ქ.ი. ჯგუფურად ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დააკავეს.**




დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ბ.ი.- მ ძმის, ასევე ბრალდებულის სახით დაკავებული ქ.ი. - ს დახმარებით, 2006 წელს დაბადებულ გოგონას, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობის მოტივით, ცოლად შერთვის მიზნით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა. სამართალდამცველებმა, მომხდარი დანაშაულის თაობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე მყისიერად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, გატაცებული გოგონას ადგილსამყოფელი იმავე დღეს დაადინეს, ხოლო ბ.ი. და ქ.ი. ბრალდებულების სახით დააკავეს.

# სარფში სამართალდარღვევის ფაქტი აღკვეთეს

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი" კანონდარღვევის ფაქტი აღიკვეთა.**

აღნიშნული სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე უცხო ქვეყნის მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა – 89. 03 გრამი) და არადეკლარირებული თანხა (85 350 რუსული რუბლი და 20 750 ევრო) გამოავლინეს.

არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობების საბაჟო ღირებულებამ 15223.24 ლარი შეადგინა, ხოლო არადეკლარირებული თანხის



საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით – 66 502 ლარი. აღნიშნული საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

**მეტეოპროგნოზი**

# აგვისტოს ამინდის ოინები

**უძლავრესი ამოფრქვევა მოხდა მზეზე ივლისის მიწურულს, რომლის მიერ პროვოცირებულმა პლაზმის ამოფრქვევამ დედამიწამდე ჯერ კიდევ 28 რიცხვში მიაღწია. ატმოსფეროში ამის გამო წარმოშობილი რხევები თანდათანობით მაგნიტურ ქარიშხალში გადაიზარდა, რომლის პიკმა 1 აგვისტოს მიაღწია.**



გასული კვირის ბოლოს გეომაგნიტურმა აქტივობამ 5-ბალიან ნიშნულს მიაღწია და 3 აგვისტოსთვის 4-ბალიან დონემდე შენარჩუნდა. დღეის შემდეგ კი პლანეტის მაგნიტური ველ ნელ-ნელა ნორმაში ჩადგომას დაიწყებს.

**ყველაზე მძიმე გადასატანია ეს პერიოდი მეტეოდამოკიდებული ადამიანებისთვის, რომელთაც გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. ამ დროს ასეთი ადამიანები ძლიერ თავის ტკივილებსა და მომატებულ არტერიულ წნევას უჩივიან ხოლმე. ასევე მაღალია გულის შეტევის წარმოშობის ალბათობა.**

მრავალწლიან დაკვირვებებზე დაყრდნობით, სინოპტიკოსები ზაფხულის ბოლო თვის საერთო ტენდეციების შესახებ გვაწვდიან პროგნოზს, რომლის თანახმად, აგვისტოში ტემპერატურის მკვეთრი მერყეობა და უამინდობაა მოსალოდნელი.

**28-30 ივლისს საქართველოში წლევანდელი ტემპერატურული მაქსიმუმი დადგინდა, ხოლო აგვისტოში ჰაერის ყველაზე მაღალი ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთსა და სამეგრელოს მხარეშია მოსალოდნელი, აცხადებენ მეტეოროლოგები. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის მოკლევადიანი პროგნოზირების სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ აგვისტოს პირველ ნახევარში ტემპერატურა ოდნავ დაიწევს, თუმცა კი ცხელი ჰაერის მასები მაინც შენარჩუნდება.**

აგვისტოს პირველივე დღეებიდან ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით დაიკლებს როგორც აღმოსავლეთ, ისევე დასავლეთ საქართველოში, პროგნოზირებენ სინოპტიკოსები. ამასთან, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ჰაერის ტენიანი მასები და მოსალოდნელი ხანმოკლე წვიმები მაინც ხელს შეუწყობენ სიცხის შეგრძნების შენარჩუნებას. არადა, სავარაუდო ტემპერატურის აბსოლუტური მნიშვნელობით თუ ვიმსჯელებთ, ტემპერატურის კლების პროცესი უკვე რამდენიმე დღის დაწყებულია.

**რამდენადმე განსხვავებული ვითარება იქნება აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ჰაერის ცხელი მასების სამხრეთისკენ გადაადგილების პროცესი აგვისტოს პირველ დეკადაშიც გაგრძელდება. ცალკეულ დღეებში შესაძლოა ტემპერატურული მაქსიმუმიც კი დადგინდეს, რომლის მაჩვენებელმა დაბლობ რაიონებში შესაძლოა ცელსიუს 40 გრადუსს მიაღწიოს. სიგრილე არც მთიან რაიონებშია მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰაერის მომატებული ტენიანობა სიცხეს უფრო მხუთავად ხდის, რაც მის მიმართ მეტეოდამოკიდებულ პირთა მგრძნობიარობას ზრდის.**

გარდა ამისა, გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, მაღალი ტემპერატურის პირობებში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მთიან რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმები, ქარის გაძლიერება და სეტყვა. ჭარბ ნალექს აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მდინარეებზე შესაძლებელია – წყალდიდობები, მთაგორიან რაიონებში კი მეწყრული პროცესების გააქტიურება მოჰყვეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

# „სვანეთობა“ მესტიაში

**მესტიის საპატიო მოქალაქე ლუხუმ ჩხვიმიანი გახდა. „სვანეთობის“,დღესასწაული მესტიის ცენტრში, სეტის მოედანზე გაიმართა.**

დღის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების პავილიონებთან წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრები, ძველი სვანური საყოფაცხოვრებო ნივთები და სვანური კულინარია.

პარალელურად მიმდინარეობდა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი. ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერავა, მოადგილეებთან, მესტიის მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად დაესწრო.





**გაიმართა მესტიის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება. სახელმწიფო რწმუნებულმა და მესტიის მერმა აღნიშნული წოდება, ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონს ლუხუმ ჩხვიმიანს გადასცეს.**

„სვანეთობის“ ფარგლებში სტარტი აიღო მესტიის საერთაშორისო მთის ფილმების ფესტივალმა, რომელიც 6 დღის განმავლობაში გაგრძელდება.

**„სვანეთობა“ ყოველწლიურად, კვირიკობის დღესასწაულის მეორე დღეს იმართება, ის სვანური ტრადიციების, კულტურის, ფოლკლორის, რეწვისა და ადგილობრივი კულინარიის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.**

# ჰავანას წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლურ ტაძარს ღვთისმშობლის ხატი გადაეცა

**საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გრიგოლ გარამიძემ კუბის დედაქალაქ ჰავანას წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლურ ტაძარს საქართველოდან სპეციალურად ჩაბრძანებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი გადასცა.**

ღონისძიების ფარგლებში, მირინისისა და კარიბის ზღვის კუნძულოვანი სახელმწიფოების რეგიონალურმა ეპისკოპოსმა, ათენაგორასმა მადლობა გადაუხადა საქართველოს საელჩოს, ხაზი გაუსვა ქრისტიანული ქვეყნების ურთიერთობების მნიშვნელობას და კიდევ ერთხელ გამოხატა პატივისცემა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.



**ღონისძიების ფარგლებში ასევე აღევლინა ლოცვები ქართულ ენაზე. ამასთან, ტაძრის ეზოში აღიმართა საქართველოს დროშა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, სასულიერო პირები და დიასპორის წარმომადგენლები.**




# ბეშუმი „შუამთობაზე“ გეპატიჟებათ

**2 აგვისტოს კურორტ ბეშუმში სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ გაიმართება.**

ღონისძიების ფარგლებში მთელი დღის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებები: **საბავშვო და სპორტული აქტივობები, კვების სივრცეები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, სპეციალური ინსტალაციები და ფოტოზონები, საფეხულო ატრაქციები და დეკორაციები; უხუცესთა ანსამბლ „ზერმუხას“ და ვოკალურ ანსამბლ „ხულოს“ კონცერტი. ღონისძიების ოფიციალური ნაწილი და სიტყვით გამოსვლები საპატიო ხულოელების დაჯილდოება ნიშნობის ცერემონია; კონცერტი, ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით: დოღი, ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი, სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა დაჯილდოება.“**

# მხატვარ ალექსანდრე სლოვინსკის დიდი შემოქმედება

**დამსახურებულ მხატვარ ალექსანდრე სლოვინსკის 90 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მწერალთა სახლისა და ასოციაცია „ქართული შრიფტის“ ორგანიზებით, მწერალთა სახლში გაიხსნა გამოფენა – „ანბანი თბილისურ ამბებზე“.**

მწერალთა სახლის ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის მიერ შექმნილი ქართული ანბანი. თითოეული ასო-ნიშნის მხატვრული კომპოზიცია კონკრეტულ თბილისურ ამბავს გადმოსცემს.

„გამოფენა პირველად 2020 წელს მოეწყო მწერალთა სახლში, თუმცა პანდემიის გამო ფართო საზოგადოებამ მისი ნახვა ვერ შეძლო. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ალექსანდრე სლოვინსკის ანბანი კვლავ გახდეს ხელმისაწვდომი დამთვალიერებლისთვის.

გამოფენა „ანბანი თბილისურ ამბებზე“ მწერალთა სახლის ყავისფერ დარბაზშია განთავსებული და დამთვალიერებელი მის ნახვას მთელი აგვისტოს განმავლობაში 12:00-დან 18:00 საათამდე შეძლებს!

**გვესტუმრეთ“,** – აღნიშნულია მწერალთა სახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ალექსანდრე სლოვინსკი იყო მხატვართა ჯგუფ „სამეულის“ წევრი, რომელმაც სამი ათეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სამხატვრო ცხოვრებაში და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებაში.





ის არის მრავალი კინოფილმის, მულტფილმისა და თეატრალური სპექტაკლის დამდგმელი მხატვარი თბილისის, ბათუმის, მოსკოვის, კიევის და პრაღის თეატრებში (ჯგუფ „სამეულის“ შემადგენლობით) 1976-1991 წლებში. იყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მთავარი მხატვარი; შექმნილი აქვს მრავალი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 აგვისტოს